

წიგნის საქარხნის



საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

25 ოქტომბერი, 2013 წ. №67 (3677) ბამბუკის 77-მ წმლი ღასი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

წინასწარჩვენო გათვლა!

ძვირფასო თანამემამულენო!

გაზეთის წინა ნომერში გითხარით და კიდევ ვიმეორებ: ამ ერთხელ მაინც არჩევანი ჩვენთვის კი არა, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გადაკეთოთ! ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გადაკეთებულ არჩევანს კი მე პირადად ასე ვხედავ: რაკი ბიძინა ივანიშვილს მტკიცედ სწამს, რომ დღეს ყველაზე კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილია, – დაე, აღსრულდეს ნება მისი! კი, ბატონო, იყოს გიორგი მარგველაშვილი! მეორე ადგილთან დაკავშირებითაც მე ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი და ახლაც გავიმეორებ, თან, როგორც მაშინ, ამჯერადაც მუხრან მაჭავარიანის სიტყვებს მოვიშველიებ! –

მე ის ბიჭი არ გახლავართ, ვინმეს ყალბად პატივს ვცემდე, – რაც არ უნდა მიღვან-მოღვან აკაკია შოთას შემდეგ!..

დიახ, ძვირფასო ამომრჩევლებო, როგორც, მუხრან მაჭავარიანის აზრით, ქართულ პოეზიაში „აკაკია შოთას შემდეგ“, ასევეა მიმდინარე „საპრეზიდენტო გათამაშებაში“ ივანიშვილის – უკაცრავად, მარგველაშვილის შემდეგ წინა ბურჯანაძე და არავითარ შემთხვევაში – დავით ბაქრაძე!

ერთი სიტყვით, ძვირფასო ამომრჩევლებო, მოდით, პირდაპირ ასე გავთვალთ:

არჩევანი – მე, არადანი – შენ! მარგველაშვილი – მე, ბურჯანაძე – შენ!..

აბა, სააკაშვილის ნაცში (ნაც-მოძრაობაში!) ნამყოფი დავით ბაქრაძე ვის რა ფეხებზე უნდა?! და კიდევ, პრეზიდენტობის დანარჩენი კანდიდატები – ცოტანი მაინც იყვნენ! – წავიდნენ და კოჭი გააგორონ!..



„ლიბერალური საქართველოს“ რედაქტორის პირველი მიმართვა შემოქმედებით ახალგაზრდობას!

31 მაისი, 2013 წელი

ძვირფასო ახალგაზრდა კოლეგებო! როგორც გაზეთის რედაქტორს, მაქვს პატივი, დღევანდელი ფორმატის „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველი ნომრის ოთხი გვერდი სულგრძელად დაგიტოვოთ!

ამ რამდენიმე ფურცელზე კონსტიტუციის ფარგლებში თქვენი სურვილისამებრ წერეთ, რაც გინდათ, ხატეთ, როგორც გინდათ, და ბეჭდეთ, ვინც გინდათ!

მოაწყვეთ შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, „იდებატეთ“ და „იდისკუსიეთ“ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე – გნებავთ, იუმორითაც „დაკავდით“, თქვენ თვითონაც რომ გალალდეთ და მკითხველიც მხიარულ გუნებაზე იყოლიოთ!

ერთი სიტყვით, „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველი ახალი ნომრის ოთხი გვერდი ახალგაზრდა შემოქმედებს გეკუთვინით!

მერე და მერე, გამოცდილებისა და ჭკუა-გონების მატების კვალობაზე, შეგვეძლება, გაზეთის ფურცლები ძველმა და ახალგაზრდა ლიტერატორებმა თანაბრად გავინანილოთ!

და ბოლოს, მწერლები კი ვართ, მაგრამ, რაკი უკვდავი ვერავინ ვიქნებით, ასაკით უფროსები როცა ჩვენი გზით წავალთ, ეს გაზეთიც თქვენი იყოს და ეს ქვეყანაც!

პატივისცემით
თამაზ ნივნივაძე

ისინეთ ყველა!

ბატონებო!

ჩემი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით „ლიტერატურული საქართველოს“ მომდევნო ნომერს გამოსაცემად მოამზადებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრები!

ეს იქნება პირველი უნიკალური შემთხვევა ჩვენი გაზეთისა და უნივერსიტეტთან არსებული ახალგაზრდა მწერალთა წრის ისტორიაში! საგანგებო ნომრის მოსამზადებლად შექმნილია ახალგაზრდა შემოქმედთა სათათბირო საბჭო!

წინასწარდაქციო სამუშაოებს უხელმძღვანელებენ ჩემს მიერ დროებით დანიშნული მთავარი რედაქტორი ბატონი ლექსო დორეული და ბატონი დორეულისგან შერჩეული მისივე მოადგილე ბატონი ოთარ ჯირკვალისვილი!

ძვირფასო მკითხველო! თვალი მიადევნეთ ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერს და შეეცადეთ, დაიმახსოვროთ ამ ახალგაზრდა ავტორთა გვარები – ესენი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული მომავალია!

პატივისცემით
თამაზ ნივნივაძე

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი,
„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი

თამაზ ნიჟარაძე

სიის თავში სათქმელი სიტყვა

ძვირფასო მკითხველო! საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიაში განვერიანების მსურველთა 222-კაციანი სია გაზეთის წინა ნომერში გამოვაცხევეთ – დღეს კი ამით რიცხვს უკვე დაემატა 50-მდე მწერალი!

ვიცი, გაჩნდება შეკითხვა: თუ კავშირის ყველა წევრი აკადემიაში გაერთიანდება, ეს რანაირი ცვლილება იქნებაო! ამასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ!

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ნიშნის სია (გაგრძელება)

- 223. ასანაშვილი იროდი
224. ასლამაზიშვილი ვლადიმერ
225. ბარჯაძე თამაზ
226. ბრატაძე ოლია
227. ბუაჩიძე ანდრო
228. გუმბათი რაფიკ
229. ეგრისელი (დოლბაია) ვაჟა
230. ზოიძე ზურაბ
231. ზუკაკიშვილი რომან
232. თევზაძე აკაკი
233. ივანიძე ავთანდილ
234. კელოშვილი ზაირა
235. კვიციანიშვილი ემზარ
236. კიკოლაშვილი გელა
237. კილაძე ზაურ
238. კორინთელი კამილა
239. ლობჯანიძე ზურაბ
240. მესხი ლეილა
241. ოდიკაძე რობერტ
242. საბანაძე ვასილ
243. სვანაძე ბადრი
244. უგულავა ედუარდ
245. ფაღავა ირაკლი
246. ქირია ჯემალ
247. ქუთათელაძე გენრიეტა
248. ლურჯუმალიძე ნუნუ
249. ყურაშვილი ავთანდილ
250. შათირიშვილი მერაბ
251. შერვაშიძე გიორგი
252. ჩალაბაშვილი თემურ
253. ჩალაური ნელი
254. ჩანტლაძე ლერი
255. ჩხარტიშვილი რევაზ სამსონის ძე
256. ჩხარტიშვილი რევაზ ჭიჭიკოს ძე
257. ჭანკოტაძე ვახტანგ
258. ჭყონია გიორგი
259. ხომერიკი გია
260. ხორნაული ვაჟა
261. ხოფერია ჯემალ
262. ხურცილავა მურმან

(გაგრძელება იქნება)

შეცდომით დაბეჭდილი გვარების განსწორება

- 58. გოგინაშვილი გერონტი
131. მრელაშვილი ზაზა
139. ყიყიაშვილი ნოდარ

ყურადღება!

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და „ARTINFO საქართველო“ 6 ნოემბერს, 17: 00 საათზე გინვეთ გაზეთ

„ლიტერატურული საქართველო“ პრაქტიკა

მონაწილეობენ ახალგაზრდა პოეტები და მუსიკოსები:

გიორგი ძამუკაშვილი, თორნიკე ჭელიძე, დიმიტრი ბახუტაშვილი, ბექა ახალაია, მერაბ არაბული, ლექსო დორეული, ოთარ ჯირკვალიშვილი, ხვინა ყალაბეგაშვილი, ოთარ ფალიანი, ლევან მასისურაძე, შორენა კოტორაშვილი, გიორგი ფირცხალაიშვილი, ბექა ყორშია, გეგა ოდიშელი, მალხაზ არჩვაძე.

მისამართი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი. აუდიტორია №307
დასწრება თავისუფალია.

განსწორება

ჩვენი გაზეთის 18 ოქტომბრის ნომერში ტექნიკური მიზეზით გამორჩენილია წერილის „კეთილი კეთილისათვის არს კეთილი, ვინა იგივე კეთილი ბოროტისათვის – ბოროტ“ ავტორის გვარი და სახელი. წერილის ავტორია თამილა მაკარიძე. რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორსა და მკითხველს.

„უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი“. ქართველ ხალხს უჯიშობას ვერ დასწამებ. აქედან გამომდინარე, ქართველი ხალხი არ შეიძლება უმადური იყოს. ბიძინა ივანიშვილმა იმდენი რამ გააკეთა საქართველოსთვის, თუ ჩვენ ოდნავ

ვახტანგ ხარჩილაძე

ჩვედი გიორგი მარგველაშვილს, არ მიიღოს მონაწილეობა მეორე ტურში, – თქვა ბიძინა ივანიშვილმა და ეს ნათქვამი ვილაც-ვილაცებმა ულტიმატუმად მონათლეს.

„ჩვენ უნდა ჩვენი ვივით გურობადი“

ფიქრები 27 ოქტომბრის საპრაქტიკული არჩევნების წინ



მინც გვაქვს მაღლიერების გრძობა, არ შეიძლება 27 ოქტომბერს მხარი არ დავუჭიროთ მის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულ ადამიანს, გიორგი მარგველაშვილს.

არავითარი ულტიმატუმი არ არის ამ სიტყვებში. ეს არის ღია და გულწრფელი გამოხატულება იმ შესაძლო იმედგაცრუებისა, რაც არა მარტო ბიძინა ივანიშვილს, არამედ ყველა გონიერ და მოაზროვნე ქართველს ეწვევა, თუ საქმე მეორე ტურამდე მივა.

ცხადია, ჩვენი მხარდაჭერით მხოლოდ მარგველაშვილს კი არა, პირველ ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილს ვუჭერთ მხარს, რომელმაც ქართველ ხალხთან ერთად შეუძლებელი შეძლო და „ნაციონალური მოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმთან ბრძოლაში გაიმარჯვა.

აბა, ერთი წუთით გავიხსენოთ, რა შემთხვევაში ინიშნება მეორე ტური?

გაიმარჯვაო, კი ვთქვით, მაგრამ ამ გამარჯვებას ერთი, ბოლო დარტყმა აკლია, რომელმაც ნოკაუტში უნდა ჩაადგოს პოლიტიკურ რინგზე ჯერ კიდევ უთავბოლოდ მობოროტად მტოქე, რომელიც არად დაგიდევთ დადგენილ წესებს და ყველაფერს კადრულობს, ყველანაირ აკრძალულ ილეთს იყენებს.

ეს ხდება იმ დროს, როცა პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს 50%-ს პლუს ერთ ხმას.

27 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა თავის სასარგებლოდ ნოკაუტით უნდა დაასრულოს ცხრანლიანი ომი ამ პირსისხლიან, სასტიკ და ულმოებელ ძალასთან.

ბიძინა ივანიშვილი სავესები მართალია, როცა მიანიშნებს, რომ, თუ ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი სათანადოდ ვერ აფასებს ქვეყნის ყოფნა-არყოფნისთვის უკიდურესად მნიშველოვან იმ ფაქტს, რასაც სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება ჰქვია, მაშინ ამ ერისთვის თავგანწირვა და მის გადასარჩენად ბრძოლის გაგრძელება ფუჭი საქმეა.

სწორედ ამას გულისხმობს ბიძინა ივანიშვილი, როცა ამბობს 60%-ით უნდა გავიმარჯვოთო.

– თუ მეორე ტურამდე მივა საქმე, მეორე ტურში ბაქრაძე გახდება პრეზიდენტი, ბაქრაძე პრემიერ-მინისტრად სააკაშვილს დასვათ... ეს გინდათ? – იკითხა ივანიშვილმა.

მას ეს 60% თავისთვის კი არ უნდა (ის ისედაც მიდის პოლიტიკიდან), არამედ თქვენთვის, ქართველი ხალხისთვის – რომ ნოკდაუნში მოფართხალე „ნაციონალურა“, რომელიც წამოდგომას ცდილობს, ფეხზე ვერ დადგეს და უკან არ მობრუნდეს.

კარგად დაფიქრდეთ, მართლა ეს გვინდა, ქართველებო?

არადა, ამის საშიშროება არსებობს... შეიძლება ეს 27 ოქტომბერს არ მოხდეს, მაგრამ მოხდეს ცოტა მოგვიანებით. რაც უფრო მეტ ხმას მიიღებს „ნაციონალურის“ კანდიდატი, მით უფრო მალე დააპირებენ ისინი უკან მობრუნებას და ჩვენთვის ანგარიშის გასწორებას.

– 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დამთავრდება! – პირობა მოგვცა გიორგი მარგველაშვილმა.

აი, ეს კი ნამდვილად ჩვენი, ქართველი ხალხის ბრალი იქნება და მერე სხვას წუ დავეწყებთ დადანაშაულებას.

27 ოქტომბერს კოაბიტაცია მართლაც დამთავრდება, რადგან მიხეილ სააკაშვილის წასვლით დამთავრდება ორხელისუფლებიანობა, მაგრამ არაფერი დამთავრდება, თუ სააკაშვილი ბაქრაძის ფსევდონიმით დაგვიბრუნდება უკან.

– თუ მეორე ტური გახდება საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად, მე ვურ-

ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქართველი ხალხის ერთი ნაწილი საქართველოს უღალატებს, „ნაციონალურის“ მიერ შეურაცხყოფილ, სულში ჩაფურთხებულ, გაძარცვულ და გაუბედურებულ ასიათასობით ქართველს ზურგს შეაქცევს და ღიად თუ მალულად ხმას იმ

- სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქოს კულტურის ცენტრში 3 ნოემბერს, 15 საათზე, გაიმართება ვასილ ზოსტაშვილის პოეზიის საღამო, ასევე მოენცობა მისი ნახატების გამოფენა.
• შაბათს, 26 ოქტომბერს, 16 საათზე, ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ ინიციატივით საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართება ჯუმბერ გოგრიჭიანის - ჯუბა ლებელის პოეზიის საღამო.

ქალაქში ტროას სხენია!

ადამიანს მისცემს, რომელსაც დღეს ნაცმოძრაობის უკუდავი კაშის როლი აკისრია.

პირველ ადგილზე გავა ბაქრაძე? „ნაცმოძრაობა“ დაუყოვნებლივ მობრუნდება ხელისუფლებაში!

მეორე ადგილს დაიკავებს ბაქრაძე? – კოალიტაციის შეურაცხყოფელი პროცესი კი არ დამთავრდება – გაგრძელდება, ხოლო „ნაციონალები“ სულ რამდენიმე თვეში მოახერხებენ დაკარგული პოზიციების აღდგენას.

ეს გვინდა, ძვირფასო ქართველებო? ამისთვის გადავტანეთ ამდენი ტანჯვა-წამება, ამისთვის გადავდეთ თავი?

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მისი პრეზიდენტად არჩევა შეიძლება პოლიტიკური კრიზისისა და დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდეს.

პრეზიდენტი ბურჯანაძე დაახლოებით იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც დღეს პრეზიდენტი სააკაშვილია, რომელიც თან პრეზიდენტი და თანაც ოპოზიციონერი.

პოლიტიკური რეალობა, რომელშიც ბურჯანაძეს მოუწევს მოღვაწეობა, მას თავისთავად უბიძგებს, იყოს იმ ხელისუფლების ოპოზიციამი, სადაც მას არანაირი დასაყრდენი არ ჰყავს არც პარლამენტში, არც მთავრობაში.

აქედან გამომდინარე, უნდა მას თუ არ უნდა, პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძის სახით შეიძლება მივიღოთ ახალი მიხეილ სააკაშვილი კაბაში, რომელიც, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებული იქნება, იბრძოდოს საკუთარი პოლიტიკური გუნდის სახელისუფლებო ორბიტაზე შემოსაყვანად, რაც აუცილებლად მიგვიყვანს მძაფრ დაპირისპირებამდე და ბოლოს პოლიტიკურ კრიზისამდე.

წარსულის გამოცდილებას თუ დავაკვირდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველები არჩევანს ხშირად ემოციებზე დაყრდნობით ვაკეთებთ და ავანტიურისტული ბუნების იმ კანდიდატებს უფრო ვუჯერებთ, რომლებიც დღესვე, ამწუთასვე, დაუყოვნებლივ გვპირდებიან რადიკალურ ცვლილებებს და კეთილდღეობას.

ეს არის აზროვნება ერთი დღით, აზროვნება „დღევანდელი კვერცხი მირჩვენია“ პრინციპით, რაც ხშირად დიდი იმედგაცრუებით მთავრდება – დღევანდელი კვერცხი ხშირ შემთხვევაში ლაყე აღმოჩნდება ხოლმე, საიდანაც კეთილდღეობა და ბედნიერება ვერ გამოიჩეკება.

არ ცდება ის, ვინც მომავალზე ორიენტირებული და არჩევანს პრაგმატული გათვლებისა და გაანგარიშების მიხედვით აკეთებს.

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: ქართველ ხალხს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია, არ ჰყავს, ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ქართველი ხალხია.

ღმერთმა ნუ ქნას და ეს კავშირი რომ განყდეს, აი, იმ დღეს დაინყება საქართველოს რღვევა და უფსკრულში ვარდნა, საიდანაც მისი ამოყვანა შეუძლებელი იქნება.

27 ოქტომბერს „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს მომავალი მივცეთ.

ვილაც-ვილაცები ცდილობენ, საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვის ავირჩევთ პრეზიდენტად, რადგან, მათი მტკიცებით, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ახალ პრეზიდენტს ფრიად შეკვეცილი უფლებები აქვს და ის პოლიტიკურ პროცესებზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს.

აი, ეს არის ის სატყუარა, რითაც საზოგადოების ყურადღების მოდუნებას და არჩევნებისადმი ნიჰილისტურ განწყობას ნერგავენ „ქართული ოცნების“ და ქართველი ხალხის ფარული მტრები.

სინამდვილეში 27 ოქტომბერს ძალიან ბევრი რამ არის სასწორზე შეგდებული და, ქართველმა ხალხმა შეცდომა რომ დაუშვას, ამ ერთმა შეცდომამ, შეიძლება, დიდი კატასტროფა გამოიწვიოს.

დიახ, ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს და ამის თავიდან აცილება ქართველი ხალხის გონივრულ და ბრძნულ არჩევანს შეუძლია.

P.S.

ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთეთ, თუმცა ნაწყენი ადამიანებიც გვყავს, რომლებსაც სათანადო ყურადღება ვერ დავუთმეთ, – თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

იმდენი პრობლემა დატოვა „ნაცმოძრაობამ“ მემკვიდრეობად, მათი მოგვარება ერთ წელთანაა ნარმოუდგენელია, მოუგვარებელი პრობლემები კი ნაწყენი ადამიანების რიცხვს ამრავლებს.

სწორედ ამ ადამიანების, რაღაცით ნაწყენი და იმედგაცრუებული ადამიანების მისამართით მინდა ვთქვა: თუ ვინმე გადაწყვეტს თქვენს პრობლემებს, ისეც და ისეც ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი, სხვა მხსნელი და მშველელი თქვენ არ გყავთ.

ძვირფასო მკითხველებო, მართალია, გაზეთის ამ ნომერში ცოტაა კრიტიკა, თუმცა, გვერწმუნეთ, არჩევნების შემდეგ „საერთო გაზეთი“ კვლავ დაუბრუნდება თავის ჩვეულ კალაპოტს და ის იქნება ახალი ხელისუფლების უაღრესად კრიტიკული, ობიექტური და მიუკერძოებელი მსაჯული.

3.6.

„საერთო გაზეთი“, №29

ჩვენ ვიცით, როგორ დაანგრია „ილიონი“ იქ შეგდებულმა „ტროას ცხენმა“, როგორ განადგურდა ევრაზიული ცივილიზაცია: ეს იყო საშინელი ღალატით, ანუ შიგნიდან გატეხილი ციხე-ქალაქის ტრაგედია! ეს იყო არა ოდენ ქალაქი, არამედ კოლხურ-იბერიული, კრეტა-მიკენური, აღმოსავლურ-დასავლური კულტურების ბასტიონი... 9 წელიწადს ებრძოდა ამ „ზიკურატს“ „დორიელ-აქაველთა“ ბარბაროსული ურდო და მეთავე წელს გატეხეს ვერაგული ხერხით და ღალატით!.. ანუ ქალაქში შემგებელი „ტროას ცხენის“ „დევერსანტებით – უცნაური დესანტით“.

ეს მისტიკური, აბსტრაქციული თუ რეალური ცხენის მუსიკა, რომელმაც შვა სიკვდილის მხედრები ტროას კედლებში – იმ ტიპის ხიფათის შემცველი მითოსური პარადიგმაა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია გაცხადება და გამეორება.

ქაჯავთშიც ცხენის გვამით შედიან მითოსური მეომრები და ტყეხენ მას...

უნდა გითხრათ და გაგაფრთხილოთ – ჩვენ შეგვიქმნეს და შემოგვიგდეს „ტროას ცხენის“ ახალი მოდელი: გლობალური საუკუნის მოდერნული „პანდორას“ – არასამთავრობოებისა და ჟურნალისტთა უცნაური, დივერსიული ჯგუფები, რომლებიც უტიფრად და ჯიუტად ებრძვიან ერის ზნეობრივ „ზიკურატებს“ – მის რწმენას და ტრადიციებს... აზომბირებენ მოზარდი თაობის ცნობიერებას... უფრო მეტიც, „ატერორებენ“ და სახელს უტეხენ გამოჩინებულ ეროვნულ მოხელეებს, ახერხებენ მათ დამხობას და განდევნასაც კი საკუთარი სამშობლოდან...

აქ გავისხენებ ერთ რჩეულ ანდრეულ ინფორმაციას ფოლკლორიდან: ფხოველ ხევისბერს მაღალი მთისთვის შეუხედავს და უთქვამს: „ეეჰ, მთაო, მაღალი კი ხარ, მაგრამ, თუ კაცის ენა მოგადგა, დაგამდაბლებსო“.

ლექსის ერთ ბნკარსაც მოვიტან: „დალივნა თათხელიონნი დიაცთა ენობამაო“, – მართლაც, არხოტის თემში არსებობს „დიაცთა ენობის“ მიზეზით ამოვარდნილი ნასოფლარი...

ფფიქრობ, ეს მაგალითები დღევანდელი კონტექსტისთვის მეტად ნიშანდობლივია და საგულისხმოც!..

სიტყვა და ენა, ჭორი – ეს არის ყოვლის შემუმუსგრელი ენერგია. თუკი ის ბოროტთა ნებით სიცრუედ მოიქცევა, გამოაცხადებს თეთრს შავად, ყვავს – გუგულად...

მე გამოგნა ჟურნალისტების ქცევამ და უტიფრობამ პრემიერთან შეხვედრისას; მისგან ნათქვამი სიტყვის ვერმომხენამ და ტექსტის მცდარმა ანდაც საგანგებოდ დამახინჯებულმა ინტერპრეტაციამ და ტირაფირებამ...

პრემიერს არ უთქვამს, რომ მათ, ჟურნალისტებმა, მინისტრები არ უნდა აკრიტიკონ; მან თქვა, რომ ჟურნალისტს უნდა შეეძლოს კრიტიკა, მაგრამ მან უნდა შეეძლოს ღირსეული სახელმწიფო მოხელის დაფასება და შეფასებაც... ფფიქრობთ, რომ ეს სრულიად სამართლიანი მიდგომაა პრემიერის მხრიდან...

სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ინგა გრიგოლიამ ერთ დღეში სამჯერ გაიმეორა ამ ტექსტის

ყალბი, შებრუნებული ინტერპრეტაცია!

ჩემთვის სრულიად გაუგებარია ჟურნალისტების ტოტალური იერიში პრემიერზე (და „ქართულ ოცნებაზე“), რომელმაც, ფაქტობრივად, ჯოჯოხეთის უფსკრულიდან „ამოთხარა“ საკუთარი ქვეყანა და თვით ჟურნალისტებიც გამოიყვანა აბსურდის გვირაბიდან, თავისთან მიიწვია და ეახლა კიდეც; – არადა, არ მოსწონთ! რატომ? – ის ერჩიათ, „ნაცების“ ბელადი ჟურნალისტებს ძალდაც რომ არ აგდებდა და საერთოდ არ ელაპარაკებოდა?!

მე ვუსმინე (და ვუყურე) ჟურნალისტების შეხვედრას ბენდუქიძესთან, რომელმაც ვინდამირ უთხრა, უციცლები ხართ, ფერი განავალში გიდგათო! – და ათასი სიბინძურე დააბერტყა თავზე! ამ „ჩხიკვებს“ კი საპროტესტო რეაქციაც არ ჰქონიათ...

საერთოდ დუმდნენ კაცის კვლავ, გაუპატიურებაზე, პედოფილიაზე, ქვეყნის აობრებაზე და ივანიშვილის ერთი გამოხედვა არ მოეწონათ!

პირდაპირ უტაქტობის, უზრდელობის და არაპროფესიონალიზმის ნიშნულია ჟიჟილაშვილის მიმართვა პრემიერისადმი – რა შპარგალკა ეჭირა ხელში ბატონ ბიძინას და ვინ დაუწერა იგი!

ნუთუ ივანიშვილი ჟურნალისტ ჟიჟილაშვილს მასავით უნიგნური ჰგონია, შეკითხვის დასმაც რომ არ შეუძლია შპარგალკის გარეშე? – ეს არის ზოგადად ჩვენი ხალხის უმაღურობის სინდრომი: და სააკაშვილის თონეში გამომცხვარი ჟურნალისტების ყალბი ამბიცია მათი „შეუხებლობის“ და „სიტყვაშუქცევლობის“.

მე უნდა შევახსენო „საკაშვილის პანდორასეული ყუთიდან ამოფრქვეულ“ ჟურნალისტებს, რომ ივანიშვილი ანალიტიკური ტექსტებით შემოვიდა პოლიტიკაში: მან ბარათაშვილის და რუსთველის შესანიშნავი ანალიტიკური ინტერპრეტაცია გააკეთა... მაშინ, როდესაც კვესიტაძე, კობერიძე, ბოკუჩავა-ხოშტარების და სხვათა პირადი პრეზიდენტი ერთმანეთისგან ვერ არჩევდა კაკალაშვილის და გალაკტიონის პოეზიას და ვერ ახერხებდა რუსთაველის თუნდაც ერთი სტროფის სწორად წარმოთქმას!

ხომ არის საგანგაშო ანომალია?! – მაგრამ ეს არც ერთ „ღობის ჩხიკვს და კაჭკაჭს“ არ შეუმჩნევია, რომლებიც „ხის ფულდუროდან“ მხოლოდ მატლის ამოძრობით არიან დაკავებული.

ჟურნალისტები ქმნიან საკუთარი კასტის ბედისწერულად სახიფათო ქცევათა ფატალურ მოდელს საკუთარი ქვეყნისთვის. მათი ქცევა სრულიად შეუსაბამოა – ფსიქოპათიური, ფსიქო-კლიმაქსურ-ვულგარული იმპულსებით...

„პრემიერი არ უნდა ასწავლიდეს ჟურნალისტებს“-ო, – მართლაც, არც არავინ უნდა ასწავლიდეს, არც არავისგან უსწავლიათ და ამიტომაც არიან ასეთი სამარცხვინოდ უციცლები.

ახლა, როცა ყველა არხი ნაციონალისტებისა და ყველა ჟურნალისტი „ლიბერტანელია“, ივანიშვილს კი საერთოდ არა აქვს არხი, მან შეიძლება საინფორმაციო ომი წააგოს... მხოლოდ ილბალზე და პატიოსნებაზე აგებული პოლიტიკა – რეკლამაციის გარეშე – გაუგებარი რჩება მასისთვის და ხელსაყრელი – ნაცებისთვის და მათი გადამთიელი მამებისთვის!.. ჰიბრიდულ-კოალიტაციური რეჟიმის „სისტემის“ დამნერგავთათვის!

ასეთივე ხიფათის შემცველია ქვეყნისთვის და სახელმწიფოსთვის არასამთავრობოები, რომლებიც მრავალფეხა ამფიბიებით იყოფიან და მრავალდებიან: და სახელმწიფოში სრულიად უცხო მენტალობის – სადისტურ-მისტიკურ-აბსტრაქტულ სახელმწიფოს ქმნიან და საზოგადოებას ახვევენ კოსმოპოლიტურ რასათა ეთიკას და კანონებს!

ამაზრუნენი მოსასმენია ვინმე კოჟორიძეების, ლადარიების, ხომტარიების, ბოკუჩავების, კობერიძეების, მეგრელიშვილების (...) და სხვათა და სხვათა „კლინიკური“ მორალი... კობის ჩხირებით რომ არიან გაჩხერილი ყველა არხზე!..

რა ეშველება ამათ! არც აბები, არც ... რეცეპტები, არც ქრისტეს-სისხლას ნაყენი! არც „ვეფხისტყაოსანი“... მათ არ უშველის!

მათ უნდათ „ბერკეტებით“ გადაადგილება მათი მონური ცნობიერების სივრციდან, რომელიც სააკაშვილმა შეუქმნათ! სრულიად უნდა შეიცვალოს სატელევიზიო სისტემა და არასამთავრობოთა კლონირებული სტრუქტურები: ისინი უნდა გავიდნენ ქართველი ერის საარსებო ზნეობრივი სივრციდან – ქვეყნიდან, რომელიც ღვთისმშობლის ნილხვედრია, ქალაქიდან და სახელმწიფოდან, რომელიც ფარნავაზის და გორგასალის შექმნილია! და რომელიც მოცულია რუსთველისა და ვაჟა-ფშაველას სიტყვის მისტერიით...

„ტროას ცხენები“ და „პანდორას ყუთები“ გატანილი უნდა იქნეს „ქალაქიდან“ – თორემ ისინი კვლავ იქცევიან დიდი განხეთქილების და ქვეყნის დაშლის ვირუსებად და ეპიდემიებად!..

ვერ გააჩერებს მათ პრემიერი, ვერ გაიყვანს მათ ჩვენი ქალაქიდან... ესენი ხალხმა უნდა გააჩეროს! უნდა დაინყოს სახალხო-ეროვნული მოძრაობა „ქალაქიდან“ „ტროას ცხენის“ გასატანად.

ფფიქრობ, რომ ქართველ ერს ვერ კიდევ შერჩა საამისო ენერგია და მითოსური ინფორმაცია ქვეყნის გადარჩენისთვის.

კობა იაკობ-აბა არაბული



როგორი არ უნდა იყოს ანაბიანი

ანუ რაზე მიხვალაქი წვრილმანი „ჟულიკიც“ ყოფილა

მოგესხენებათ, რევაზ მიშველაძის ბოლომდე მხილება მაქვს გადაწყვეტილი და ვეღარ მოვიცალე ჩვენი თაობის მიერ დარსებული ახალი ჟურნალის – „ამერ-იმერის“ ფოსტისთვის!

არადა, პროზის განყოფილებას ვხელმძღვანელობ. რამდენიმე დღის წინ, ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა ვაჟა ჩორდელმა, რედაქციაში შემოსული მასალები გადმომცა: გაცეანი, მომავალი ნომერია მოსამზადებელი.

შუალამა. ვაზებით დაბურული ეზოს ბოლოში ჩადგმულ, პატარა ოთახში ვზივარ და ნანერებს ვათვალისწინებ! იმან, რაც მოულოდნელად ვნახე, გამამხიარულა და გვარისადაც გამაცინა: რევაზ მიშველაძის ორი „ნოველა“ შემომაცქერდა თვალეში! თანაც, რამხელა საჩუქარია მთვარიანი ღამისა: ბატონი რევაზის ხელნაწერის ნახვის ღირსი შევიქენი! პირველი, თუ არ ვცდები, „მწერის გაზეთ-

ლავართ და მიშველაძისგან ინტერვიუც თურმე მე ამიღია! ყოველ შემთხვევაში, – საქმეს ასეთი პირი უჩანს, რადგან „ამერ-იმერის“ არც ერთ თანამშრომელს მსგავსი არაფერი ნაუკითხავს!

რალა თქმა უნდა, მე, ჯემალ დავლიანიც, არც ინტერვიუს შესავლის დანერა შემეძლო და არც მისი სათაურისა! მიუხედავად ამისა, რეზონანსი საბრალოს მიერ, საკუთარი ხელით, საკუთარ თავთან აღებული ინტერვიუს დასაწყისში ვკითხულობთ:

„რევაზ მიშველაძემ ჟურნალ „ამერ-იმერში“ დასაბუთებლად ორი ახალთახალი, რომ იტყვიან, მელანქოლიკური ნოველა მოგვანოდა, ორივე მათგანი ისტორიულ თემაზეა. კორესპონდენტმა ამასთან დაკავშირებით მწერალს რამდენიმე შეკითხვით მიმართა“. ეს შესავალი, რეზონანსი „ამერ-იმერის“ მთავარ რედაქტორს, ვაჟა ჩორდელს მიაკუთვნა, ხოლო ამ უკა-

– გულახდილად რომ გითხრათ (დარდიანად მპასუხობს მიშველაძე! ჯ.დ.) ვერ ამიხსნია!

– გარდა ამ შესანიშნავი „ხუთეულისა“, რა უნდა ჰქნან მწერლად სახელდებულებმა (თავს ვიმდაბლებ. ჯ.დ.), რა ნაკლი აქვს მათს შემოქმედებას?

– რაც იციან, იმაზე არ სწერენ, რატომღაც მწერლობა ჰგონიათ თუ თითოდან გამონოვილ, გამოგონილ ცრუ ამბავს მიანვიდიან მკითხველს (ამაყად მესაუბრება, როგორც საქმის მცოდნე და ეროვნულობისთვის მამურალი! ჯ.დ.). ერთ ფაქტს მოგახსენებთ: რუსმა 1993 წლის 27 სექტემბერს 300 000 ქართველი ხომ გამოყარა (ჯალალედინის მიერ 100 000 თავმოკვეთილი, მონაგებრივად აღსრულებულის არსებობისა არ სჯერა, მაგრამ 300 000 ლტოლვილი ეჭვი, ჯერხობით, არ ეპარება და მეც, თურმე გულგრილად ვისმენ მის ყბედობას! ჯ.დ.) სახლებიდან და კოდორ-ჭუბურის გოლგოთას გზისთვის გასწორა (ხედავთ, 1993 წელს ზუგდიდში მყოფმა, რომელმაც ვიცი, რომ ჭუბურისკენ დაახლოებით 15-20 ათასი კაცი გაუყენეს გზას, ხოლო დანარჩენი ზუგდიდში მივიღეთ, ხმა ჩავიკმინდეთ, სიცრუეა-მეთქი, პირში არ მივახალე და მიშველაძის ყუყუნს სულელივით, ბოლომდე მოვუსმინე! ჯ.დ.), თოვლში ფეხმიველი რომ მოდიოდა ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა უმწეო ლამქარი... და ეს თემა ისეთ უნიჭო მწერალს შევატოვებ, როგორც გურამ ოდიშარია გახლავთ. ვნახე მის მიერ ადგაზეთის თემაზე გამოტანული პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი და გული ამერია, ისე საცოდავად, უმწეოდ, უილაჯოდ ჩანდა ქართველი კაცი აფსუათა წინაშე. ჩვენს წინაშე (ყოველივე ამას მიშველაძე მეუბნება ჩემი მეგობრის, გურამ ოდიშარიას შესახებ და მე თურმე სულგანაბული ვუსმენ, ყოველგვარი აღმფოთების გარეშე! ჯ.დ.) ყოველდღიურად თამაშდება სულსმემძვრელი დრამა და კომედია, ჩვენ კი ავგიფარებთა თვალეზე ფერადი სათვალე!

– გარდა რელობიდან გაქცევისა, კიდევ რა არის მწერლებისადმი მკითხველის გულგრილობის მიზეზი (უფრო ვწყნარდები! თურმე მომხიბლა რევაზის – „ცოცხალი კლასიკოსის“ საუბარმა! ჯ.დ.)?

– სააკაშვილის ხელისუფლებამ არ დაისასქაროვა მწერალი... ვნახოთ, რას იზამს ახალი ხელისუფლება (იმედს არ კარგავს მიშველაძე! ჯ.დ.)!

– თუ შეიძლება თქვენს ოცდახუთტომეულზეც გვითხარით... რამდენადაც ვიცი, რჩეულ თხზულებათა 25 ტომი დღემდე არცერთ ქართველ მწერალს არ გამოუცია“.

აი, ბატონებო, თურმე რა კითხვით დავასრულე ინტერვიუ რეზო მიშველაძესთან და არ მეკითხებით, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ამ მართლაც მწვერილმანე „ჟულიკს“, ამდენი როგორ მოვუთმინე და არ დავაპანლურე?

ახლა, ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ გულწრფელად გეტყვით: კიდევ ერთხელ

ჯემალ დავლიანი

გადავავლე თვალი ამ ავტობიოგრაფიულ, ამ სისადაგლეს და თავისივე პირში მუშტმწერილი მიშველაძის წარმოდგენამ საშინლად დამამწუხრა. უსაზღვრო სიბრაღული ვიგრძენი ამ არსებისადმი. ეს ძალიან ჰგავდა გზაზე დიდი სისწრაფით მქროლავი ავტომანქანის საქარე მინაზე გასრეხილ პეპელას გამო აღძრულ სინანულს! რა თქმა უნდა, ეს იყო წამიერი გაეღვება და გუნებაში ძებნა დავუწყე მსოფლიოში მიშველაძის მსგავსთა მიერ ჩადენილ ათასგვარ თაღლითობას! ბოლოს, მხოლოდ ერთ-ერთი შემომჩრა: იყო ერთი „ჟულიკი“, რომელსაც მკვდარი თავი დაჰქონდა ჩანთით, შედიოდა რესტორნებში, სასადილოებში, მოითხოვდა კერძს, მოხერხებულად ჩააგდებდა მკვდარ ცხოველს და ოფიციალტს აუტყბდა დავიდარაბას – ჩაჩვირის წიგნი მომეცით, რა უმსგავსოებაა თქვენს დანესებულებათაში!

ის კაცი რამდენიმე წელიწადი ამ ხერხით ფულს შოულობდა, თუმც მანაც გააბეს მახეში!


რა განსხვავებაა იმ „ჟულიკსა“ და ინტელიგენტ რეზონანსს – თაღლითის შორის, ამ კითხვის პასუხი თქვენთვის მომინდვია!

P.S.

პროფესიონალი „ჟულიკი“ მიშველაძე, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა მწერალთა სიის რაოდენობამ, ისე გააცოფა, ქუჩებში მიმოქრის, მწერალთა კავშირის წევრობის დამადასტურებელ ცარიელ წიგნაკებს დააფრიალებს და მცირედენი „გასაუბრების“ შემდგომ ადგილზევე ავებს! სულ ერთია, პიროვნება სამტრედიიდანაა, ხონიდანაა, აბაშიდანაა, ალპანიდანაა, ყარაღაჯიდანაა, ვაქირიდანაა თუ საქართველოს წებისმიერი სოფლიდან! ასეთი შარლატანობით და წუნკობით ცდილობს გაზარდოს მწერალთა კავშირის წევრთა რაოდენობა, რომ მოსალოდნელ ყრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა გაინაღდოს!

მიშველაძე „ჟულიკისგან“, ამ პროფესიონალი აფერისტისგან, უფრო უარესი ქმედება გასაგებია, მაგრამ საკვირველია – ზოგიერთი პიროვნება, ვინც მასთან დღემდე თანამშრომლობს და ვინც ქუჩა-კაფე-სასადილოებში მწერალთა კავშირის ცინცხალ, მიშველაძის ხელით მიერ შევსებულ წიგნაკებს გულის ჯიბეში იდებს, რამ გამოატყინა, რამ დააკარგინა ადამიანურობა, რატომ, რისთვის, რა რაოდენობის ლარ-ვერცხლის გამო იბინძურებს თავს? სულ რომ არაფერი, ოჯახები ისე ამოუწყდათ, მრჩეველიც აღარ შემორჩენიათ?

ვინც საშველს მიშველაძეში ხედავს, განა კაცია და ადამიანი? ვაი, სირცხვილი!



ში „უკვე დაიბეჭდა, მეორე კი ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია და თვალი გადავავლე. ერეკლე მეფის ხსენებაზე, უმაღლესე მიხვდით: ნაცმოძრაობის მიერ დანყვებულ, ერეკლე მეფის გასამართლებას ემხრობა-მეთქი ავტორი. ასეც აღმოჩნდა. „ნოველაში“ მიშველაძე იმ რუსეთის საწინააღმდეგოდ „იბრძვის“, ვისაც მთელი დღენი და მოსწრება გუნდრივ უკმევედა, მაგრამ... რაც შემდგომ ვნახე, იმან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! მართლაც, რეზონანსი უბედურს, როგორც ბატონი თამაზ წიგნივადე უწოდებს, თავისივე ხელით დაუკოდავს თავი და საკუთარი ხელით დანერვილი ინტერვიუ გამოუგზავნია, სადაც კორესპონდენტის შეკითხვები და პასუხები თვითონვე შეუთითხნავს!

თვალნათლივია ფაქტი, რომ ე.წ. ინტერვიუ ჯემალ ჩახავასთან (სადაც ეს უკანასკნელი რეზო მიშველაძეს „ცოცხალ კლასიკოსად“ მოიხსენიებს!) ზუსტად ამავე ხერხით გაუიმასქნებია.

მკითხველს უთუოდ ემბასოვრება ჩემი ვარაუდი – ჯემალ ჩახავა არაფერ შუაშია, ინტერვიუ თვითონ რეზონანსს ნაცოდვილარი იქნება-მეთქი!

მართალი აღმოვჩნდი, მაგრამ... რა შეიძლება ეწოდოს საცოდავი რეზონანსი? ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, სიტყვა „თაღლითი“ ამეკვიცა! უფრო კი მისი რუსული შესატყვისია – „ჟულიკი“, რომელიც საქართველოში, თაღლითობაა აყვანილი კვადრატში!

მართალი გითხრათ, ჩემს ბედზეც დავფიქრდი. ჟურნალ „ამერ-იმერში“ მოქმედი კორესპონდენტი სწორედ მე ვა-

ნასკნელმა, თურმე, მე – კორესპონდენტს დამავალა, კითხვები დამესვა:

– ბატონო რევაზ (მკითხველს ვთხოვ, არ დაავიწყდეს, რომ ამ კითხვით ვითომ მე მივმართავ მიშველაძეს! ჯ.დ.), რას მივანეროთ ისტორიით თქვენი დაინტერესება. თქვენმა მუხამ წარსულში ხომ არ გადაინაცვლა?

– არამც და არამც (მპასუხობს მიშველაძე! ჯ.დ.), მე ჩემი სტილით მოვლენათა კვალზე მავალი მწერალი ვარ...

– რაც ამ ნოველებშია (კითხვას თურმე ისევე მე ვუნაცვლებ! ჯ.დ.), ისტორიული ფაქტია?

– თითქმის (მპასუხობს მიშველაძე! ჯ.დ.)... მე მხატვარი ვარ და ახალ, მხატვრულ სინამდვილეს ვქმნი...


– ბატონო რევაზ (არაფრით არ ვეშვები მიშველაძეს! ჯ.დ.), როგორ უცქერთ ჩვენი ჟურნალის დაბადებას?

– „ამერ-იმერის“ გამოჩენას (ცქაფად მპასუხობს მიშველაძე! ჯ.დ.) თავის დროზე მივესალმე... ისე, არ მეცოდებთ-მეთქი, რომ გითხრათ, გულწრფელი არ ვიქნები.

– სახელდობრ (ხედავთ, რა უცბად შევანყვეტივარ საუბარი? ჯ.დ.)?

– საქართველოში ჭეშმარიტი მწერალი დღეს ხუთიოდე კალმოსანს თუ დაერქმევა. დანარჩენები მომწერლო ჟურნალისტები არიან (ხედავთ, ბატონებო, რას ბედავს მიშველაძე? ხუთეულში, რალა თქმა უნდა, არც მოვიზარები. ჯ.დ.). თუმცა ესეც არაა მიზეზი იმისა, რომ მკითხველმა ზურგი შეგვაქცია.

– აბა, რა არის (მშრალად ვეკითხები მიშველაძეს! ჯ.დ.)?





ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე დამკვიდრდა აზრი, რომ პოლიტიკა საკმაოდ ბინძური საქმეა, რადგანაც თავიანთი მიზნების მისაღწევად ადამიანები, რომლებიც ამით არიან დაკავებული, მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, რომელთა შორის სიცრუე და მოტყუება სულაც არ ითვლება ყველაზე ცუდ საქციელად. თუ ორი ადამიანის ურთიერთობაში ჯერ კიდევ მოქმედებს ინგლისური გამოთქმა: „პატიოსნება ყველაზე საუკეთესო პოლიტიკაა“ მილიონობით ადამიანის მართვისას. ამას დიდი ხანია ყურადღება მიაქცევს ფილოსოფოსებმა და ბრძენებმა. მაგალითად, პლატონი ტრაქტატში სრულყოფილი სახელმწიფოს შესახებ წერდა, რომ ამ სახელმწიფოს ხელისუფალნი მიმართავენ სიცრუესა და ტყუილებს თავიანთი ქვეშევრდომების სასარგებლოდ. ხომ ვამბობთ, რომ მსგავსი მოქმედება სასარგებლოა, როგორც სამკურნალო საშუალება. მოგვიანებით ასეთი აზრი უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა ნიკოლო მაკიაველიმ. მისი გვარიდან ნარმოსდგა ცნება „მაკიაველიზმი“. ეს სიტყვა ისეთი ადამიანის დასახასიათებლად გამოიყენება, რომლის პრინციპსაც შეადგენს ყოველგვარი ხერხის გამოყენება თავისი მიზნების მისაღწევად (ტყუილი, ცილისწამება, სისასტიკე და ა.შ.)

მაკიაველი თავის ცნობილ ტრაქტატში „ხელმწიფე“ ასახულებს, რომ დიდი მიზნის მისაღწევად დასაშვებია ზნეობრივი კანონების იგნორირება. მისი თვალსაზრისით, შესაძლებელ საშუალებათა არსენალში შედის სისასტიკე; პოლიტიკოსი შეიძლება იყოს ფარისეველი და თვალთმაქცი, გაიმარჯვოს ძალითა და მოტყუებით, შთაუწეროს ხელქვეითებს „სიყვარული და შიში“, ხალხი ძალით დააჯეროს იმაში, რისიც არ სჯერა და ა.შ. მაკიაველი წერდა: „სამშობლო უნდა დაიცვა ყოველგვარი საშუალებით: დიდებულით ან სამარცხვინოთი – მთავარი, დაიცვა ის კარგად“.

XX საუკუნეში ამავე კონცეფციას ემხრობოდა უინსტონ ჩერჩილი. ის ამბობდა: „პოლიტიკა თამაში არ არის, ის სერიოზული საქმიანობაა“. ამით ამტკიცებდა, რომ აქ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სანტიმენტალიზმს.

...როგორ გამოსდით ტოტალიტარული რეჟიმის ბელადებს, ამყოფონ ხალხი მორჩილებამდე; აიძულონ, ყოველგვარი, თორღაც სულელური იდეები დააჯერონ ხალხს? ამისთვის არსებობს გამოუმუშავებული მეთოდები. პირველ რიგში, ტოტალიტარული რეჟიმის ხელისუფლება ცდას არ აკლებს, რათა დააჯეროს მოსახლეობა, რომ ის მხოლოდ მართალს ლაპარაკობს. გადაშალეთ, მაგალითად, ლენინის სტატები და გამოსვლები: „ჩვენი ძალა სიმართლემია“, „ხალხს მხოლოდ სიმართლე უნდა ელაპარაკო. მხოლოდ მაშინ აეხილება თვალი და ისწავლის უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას“. ლამაზად წერს, არა? მაგრამ პირველი, ბოლშევიკებმა რაც გააკეთეს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დახურეს ყველა ოპოზიციური გაზეთი და მკაცრი კონტროლი დაუწესეს ყველა ბეჭდვით ორგანოს. ცენზურა, უფრო მკაცრი, ვიდრე იყო მეფის დროს, მომენტალურად ახშობდა მმართველი რეჟიმის გამაკრიტიკებელ ყოველგვარ ინფორმაციას. გაზეთებში იბეჭდებოდა მხოლოდ ის, რაც პასუხობდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს და დროთა განმავლობაში ხალხი მიაჩვიეს ცალსახოვან აზროვნებას.

მიუხედავად ამისა, სიმართლისადმი ხალხის მისწრაფების სრულად ჩახშობა ხელისუფლებას არასდროს არ გამოსდია. ხალხი ეძიებდა და პოულობდა სიმართლის გაგების უმცირეს შესაძლებლობას. ამისთვის მისაღები იყო ყველანაირი ხერხი: ქორებისა და განაგონის ზეპირად გავრცელება, დასავლეთის რადიოსადგურების გადაცემები (რომლებსაც მონდომებით ახშობდნენ), თვითგამოცემის წიგნები და ჟურნალები...

ცენზურის მუდმივი მოქმედების შედეგად ხალხს გამოუმუშავდა „სტრიქონებს შორის“ კითხვის ჩვევა.

ამის გარდა, მოტყუების მიზნით, ხელისუფალნი აღივებენ ხალხში განდიდების გრძობას, – როცა ვირს ანდა ცირკის ცხენს კაზმავენ ჟღარუნებით და ლამაზი საფარებით, რომლებიც ამაყობენ თავიანთი აღკაზმულობით და არ ესმით, რომ ეს კეთდება მათი მართვის გადაადგილებისთვის, ასევე ხალხს შთაავონებენ და აჯერებენ, რომ ესენი არიან „მინის მარილი“ და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი.

ნაცისტურ გერმანიაში მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ გერმანელები უმაღლესი რასაა და მათი დანიშნულება

პოლიტიკა

ბაა სხვა ხალხების მართვა, ხოლო საბჭოთა ხალხს შთაავონებდნენ, რომ ის კაცობრიობის მოწინავე გუნდია, რომელიც მოუწოდებს დანარჩენ მსოფლიოს ნათელი მომავლისკენ.

და ხალხს მართლაც სჯეროდა, რომ მას ეკუთვნის თავისი ქვეყნის ქარხნები და ფაბრიკები, მიწები და ტყეები. თუმცა ყველაფერ ამით, იმავე დროს უკონტროლოდ სარგებლობდა ბიუროკრატიულ-ნომინალურად აპარატი.

ფსიქოლოგების კვლევებმა აჩვენა, რომ თავისუფლება ხშირად ამძიმებს ადამიანებს. ყოველთვის უფრო ძნელია, დამორჩილო საკუთარი სინდისისა და მოვალეობის გრძობას, ვიდრე ძლიერ წნეხს. ამიტომ ზოგიერთი ადამიანისთვის უფრო მისაღები ჩანს „არათავისუფლება“ და ტოტალიტარიზმი, როდესაც მის მაგივრად ვიღაც ზემდგომი ბელადი ან ღმერთი წყევტს, როგორ მოიქცეს და ამით პატარა კაცი თავიდან იხსნის არჩევისა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის სიმძიმეს.

ტყუილად არ აღნიშნავდა შენუხებულის ნ. ა. ბერდიაევი, რომ „სინამდვილეში მსოფლიო მოწყობილია არა იმდენად სიმართლეზე, რამდენადაც ტყუილზე, რომელიც ითვლება სოციალურად სასარგებლოდ“.

განსაკუთრებულ სიმწვავეს და უსირცხვილობას იძენს ტყუილი, როდესაც მას მიმართავენ „პარტიის ინტერესებისთვის“. წიგნში „ტყუილის ფსიქოლოგია“, რომელიც ჯერ კიდევ 1903 წელს გამოიცა, ფრანგი მეცნიერი კ. მელითანმა ამბობს: „რთული და ძლიერი გრძობა, რომელსაც ეწოდება პარტიულობა, არის ყოველგვარი სიცრუის წყარო. ჩვენ, ფრანგებმა, ძალიან კარგად ვიცით, როგორ შეიძლება აღმოჩნდეს ესა თუ ის პარტია დანაშაულებრივ სიცრუეში, როდესაც პარტიის ინტერესებს ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე მაღლა აყენებს.“

...გავიდა ორი ათეული წელი და რუსეთის სისხლიანმა ამბებმა მთელ მსოფლიოს აჩვენა, რამდენად შემადრწუნებელი შეიძლება იყოს ცალკეული ადამიანის უფლებებისა და მოთხოვნილებების ინტერესებზე მაღლა პარტიული ინტერესების დაყენება“.

1928 წელს ბერლინის ემიგრანტულ ჟურნალში „რუსსკი კოლოკოლ“ ფილოსოფოსმა ი. ა. ილინმა გამოაქვეყნა სტატია „იად პარტიინოსტი“ („პარტიულობის სანამლაგი“), სადაც აჩვენა, როგორ თანდათანობით ჩაენაცვლება ზნეობრიობას, ჭეშმარიტებას და ჰუმანურობას პარტიულობა. ილინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური პარტიულობის სული შხამიანია და გამხრწნელი. ის თავისებურ მასობრივ ფსიქოზს ქმნის. ადამიანი, რომელსაც ფსიქოზი ეუფლება, იწყებს იმის დაჯერებას, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ მისი პარტია ფლობს,

თანაც ყოველგვარ ჭეშმარიტებასა და ყოველგვარ საკითხში.

პარტიული მოღვაწეობისთვის ტყუილი მთავარი ინსტრუმენტი: ამომრჩეველებს წინასწარ ატყუებენ და კონკურენტებს ცილს სწამებენ. ილინის სიტყვებით, პარტიულობა შლის ადამიანის სინდისს და ღირსებას, შეუმჩნეველად მიჰყავს ის გამყიდველობისა და დანაშაულებრივ გზაზე, რყვნის რა ადამიანის მსოფლმხედველობას.

ყოველი ქვეყნის ხელმძღვანელობა, როგორც წესი, არწმუნებს ხალხს თავის მაღალ დანიშნულებაში. იმისთვის, რომ მოსახლეობა მორჩილებაში ჰყავდეს, შესაძლებლობისდა გვარად უნდა შექმნა ილუზია უფროსობის სიბრძნისა,

პატიოსნებისა და მოუსყიდველობისა. სიბრიყვე, მექრთამეობა და არაკომპეტენტურობა ჩინოვნიკებისა უნდა გამოაცხადოს, როგორც გამონაკლისი. საქმე ის არის, რომ თავად ბიუროკრატიის იერარქიულობა არ უწყობს ხელს პატიოსანი, მოუსყიდავი და კომპეტენტური ჩინოვნიკის გამოჩენას. ასეთ ჩინოვნიკს, თუკი ის შემთხვევით შეფრინდება ბიუროკრატიულ სამეფოში. აპარატულ ინტრიგებში განაფული კოლეგები აუცილებლად გადაყლაპავენ. როგორც ისტორიკოსი ვ. კლუჩევსკი წერს, ერთხელ პეტრე პირველმა, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა მაშინდელი სენატის მექრთამეობამ და გამყიდველობამ, გადაწყვიტა, გამოეცა ბრძანებულება – თოკზე ჩამოეკიდებინათ ყოველი ჩინოვნიკი, რომელიც მოიპარავდა იმდენს, რამდენიც საჭირო იქნებოდა თოკის საყიდლად. აი, ეს იყო თვითკრიტიკა. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს აკლიათ მამაცობა ამის გასაკეთებლად და მიიჩნევენ, რომ სჯობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოატყუონ საზოგადოება, შენიღბონ თავიანთი უწესო ქცევა და საქმეები, შექმნან თავიანთი პატიოსნების ილუზია.

ყოველი ხელისუფლება შენდება ძალადობაზე. როდესაც რაიმე სოციალური ძვრების შედეგად ხდება ცვლილება, ხელისუფლებაში მოსული, სალაფავთან მიახლოებული მმართველები ცდილობენ, ყველა ცოცხალი ნასულ ხელისუფლებას აპკიდონ და ადანაშაულებენ მათ უფლებამოსილებათა გადაჭარბებაში და საზოგადოების მიმართ ძალადობაში.

თუმცა გამარჯვებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ეიფორიის შემდეგ დგება მკაცრი ყოველდღიურობა და აღმოჩნდება, რომ მართვა ძალადობის გარეშე საკმაოდ რთულია. გაცილებით რთული, ვიდრე ძალადობით. მაშინ ხელისუფალნი ეძებენ ძალადობის თეორიულ დასაბუთებას და თავს ისე იჭერენ, თითქოს ეს განსხვავებული იმ პოლიტიკური ძალადობისგან, რომელსაც მათი წინამორბედები მიმართავდნენ, ეს კი

წმინდა წყლის დემაგოგიაა, შეფარული ლამაზი სიტყვებით.

პუბლიცისტი ს. ს. ძარასოვი სტატიაში „რა გვემართება?“ წერს: „შეიქმნა პიკანტური სიტუაცია. კომუნისტების უარყოფასთან ერთად, როგორც ჩანს, მოვისროლეთ კლასობრივი ბრძოლის თეორიაც და დავადექით სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის ძიებას. მაგრამ გამოდის, რომ ბევრისთვის ეს იყო ხერხი და საფარი ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. ძალადობის აპოლოგიას, რომელიც კარიდან გაადგეს, როგორც კლასობრივი და სოციალური ანტაგონიზმის თეორია, ახლა ფანჯრიდან ტენიან, როგორც დაუფარავ სოციალ-დარვინიზმს“.

შეგახსენებთ, რომ სოციალ-დარვინიზმი, რომელიც უარყოფილია მეცნიერთა უმრავლესობის მიერ, გულისხმობს დარვინის ბრძოლას არსებობისთვის და ბუნებრივი გადარჩევის პრინციპის გადატანას ადამიანთა საზოგადოებაში, რითაც შესაძლოა სოციალური უთანასწორობის გამართლება. ამ კონცეფციას თუ მივიღებთ, აღმოჩნდება, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია პრინციპში გააუმჯობესოს სოციალური მდგომარეობა უმუშევრებისა, პენსიონერებისა, ობლესებისა და ავადმყოფებისა, რადგანაც ისინი უუნარონი არიან არსებობისთვის ბრძოლაში, რა პირობებიც არ უნდა შეუქმნან...

მასების გამოთავყვანების შესამე პრინციპი შემდეგია: სხვანაირად მოაზროვნეებს, რომლებიც ხელისუფლებისთვის საშიში არიან, განიხილავენ, როგორც მთელი საზოგადოების მტრებს და დისიდენტების მიმართ წარმოებულ რეპრესიებს ამართლებენ იმით, თითქოს ისინი მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ კი არ იბრძვიან, არამედ მთელი ხალხის წინააღმდეგ, ასე დაიბადა ტერმინი „ხალხის მტერი“, რის შედეგადაც მილიონობით ადამიანი გამოესალმა თავისუფლებას და სიცოცხლეს.

უფრო მეტიც, სტალინის რეპრესიული მანქანა ისეთ ორგანიზაციას უკეთებდა საქმეს, რომ მისი მსხვერპლნი თავად აღიარებდნენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებს.


ადამიანების გამოსათავისუფლებლად ტოტალიტარული რეჟიმი მიმართავს ქვეყნის ხელმძღვანელების უსაზღვრო ქებას. ჰიტლერის, სტალინის, მათ ძედუნის, ფიდელ კასტროს, კიმ ირ სენის და სხვა „ერის მამების“ მაგალითები აჩვენებს, რომ, თუ ხალხს შთაავონებ ბელადის სიდიადეს და მისი უცოდველობის რწმენას, მას შეუძლია მართოს უსასრულოდ დიდხანს.

P.S.

ზემოთ მოყვანილი სტატია მცირე კუპირებით ვთარგმნე იური შჩერბატის წიგნიდან „ისკუსსტვო ობმანა“ („სიცრუის ხელოვნება“). თავს ჰქვია „პოლიტიკა“. ამ თავში მოცემული მოსაზრებები საგულისხმოა დღეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, მკითხველი სათანადო დასკვნებს გააკეთებს, რაც მას სწორი პოზიციის დაკავებაში დაეხმარება.



ჩენარაფ, ჩარსულა, ჩენარაფ!



გიორგი არამბიძე

იმ დრო-ჟამს ჰყავდა მფლობელი, რომელიც ყველაფერს განაგებდა, ყველაფერზე ბატონობდა, ყველაფერს უფლობდა, ყველგან და ყველაფერში იყო, მაგრამ არ ჩანდა. არადა, ყოველ ნუთს, ყოველ ნამს გრძობდა მის სუნთქვას, საიდანაც გითვალთვალებდა, გაკონტროლებდა და თითქოს ჩაგძახოდა გაზეპირებულ ფორმულას: „მონობა თავისუფლებას, უმეცრება – ძალა“.

ეს იყო სიცრუის კერპი – მძლავრი და თვითრწმუნო.

თუ ვინმე იბრძოდა მის წინააღმდეგ, ყველა თავისი ხერხებით, რიგითი ქვეშევრდომად, ხელოვანი მეტაფორებითა და ირონიული ქარაგმებით, რადიკალები პირდაპირ, ჯიუტად, უშეღავა-

თოდ. რომელი ხერხი სჯობდა, კაცმა არ იცის. თუმცა ცნობილია ის, რომ მამაცი ადამიანების „სიგიჟემ“ დაამარცხა ის უხილავი, ტოტალური ძალა.

ხანდახან, როდესაც ვფიქრობ იმ დროზე, იმ ამბებზე, რაც იმ დრომ გამოიწვია, მახსენდება ერთი ეპიზოდი ფელინის კინოფილმიდან „ჯინჯერი და ფრედი“. ტელესტუდიაში შუქი რომ ჩაქრება და წყვდიადი დაისადგურებს, ფრედი (მარჩელო მასტროიანი) ეუბნება ჯინჯერს (ჯულიეტა მაზინას): „ჩვენ აჩრდილები ვართ, სიბნელიდან მოვედით და სიბნელეში წავალთ“.

ზოგჯერ როგორ მძიმდება სიცოცხლე...

ფარაჯანოვის მაჭარი

გიორგობისთვეა. შუადღის, ასე, ორი საათი. ტაბახმელის გზაზე, ნავისის გადასახვევთან რომ დუქანია, იმას მიუახლოვდა ჩემი ჟიგულა. გადმოვედით მე და ბორია ხმელნიცი – ცნობილი რუსი მსახიობი. ტაბახის თეატრია თბილისში გასტროლებზე ჩამოსული და ვმასპინძლობ. აბა, როგორ გინდა! ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვიყავით იქ, მოსკოვში... სპექტაკლის შემდეგ დაგვპატიჟეს ახალგაზრდები. გაგვინყეს პურ-მარილი და დილაღე მღეროდა ჩვენთვის ვალოდია ვისოცკი. ახლა ისიც აქ არის. თან წავიყვანდი, მაგრამ ახლა არ სვამს, მშრალ კანონს იცავს. ამიტომ ხმელნიციისთან გავიზიარებ ტრაპეზს. ბატონის ქაბაბი იცის აქ შესანიშნავი და ხინკალსაც არა უშავს, მაგრამ რად გინდა, არაყი არ აღმოაჩნდათ საკადრისი... რუსს ხინკალს კი შეაპარებ, როგორსაც გინდა, მაგრამ არაყში რას მოატყუებ ან ტყუილი რა საკადრისია!? სულ ვიცოდი საბარგულით კარგი ხარისხის სითხის ტარება. ამოვიღე ნითელუტიკეტიანი „Московский“, მაგრამ რად გინდა – თბილი! დავკარით და, რა თქვა, არ იკითხავთ, ბორიამ? „Теплая водка и потная женщина одно и тоже“-ო. მოკლედ, ოხვრითა და ვიშით ამ ბოთლს წირვა გამოვუყვანეთ და ბორიამ – ერთი თუ ძმა ხარ, ფარაჯანოვი გამაცანი, სერჟიკო. მოგიკვდა ჩემი თავი-მეთქი და მანქანა პირდაპირ სერჟიკას სახლს მივაყენე, ჩიხში.

როგორი გამორჩეული ხელოვანიც იყო, ისეთივე გამორჩეული დახვედრა იცოდა. ფოიერვერკით ანთებულ-მოკაშკაშე ყვებოდა, იცინოდა, უხაროდა, აქილიკებდა სამყაროს, საკუთარ თავს, ყველას და ყველაფერს. ყოველ მის ფრაზაში იდო რაღაც ღრმა, მსუბუქად და ელეგანტურად მოწოდებული, სარკაზმითა და, გნებავთ, ცინიზმით განზავებული. საკუთარი სამყარო ჰქონდა, რომელსაც არც ერთი ჩარჩო არ ერგებოდა.

საჩუქრების დარიგება უყვარდა დიდად და გამომშვიდობებისას ხმელნიციის ერთი ბოცა ღვინო აჩუქა. ცოტა მძიმე სატარებელია ოცი ლიტრი ღვინო და მივეშველე მეგობარს. წერილი ხის კიბე ფრთხილად ჩამოვიარეთ. ბორისი და ბოცა მანქანაში ჩემს გვერდით განვათავსე და, ასე, ათი საათისთვის მივაყენე სასტუმრო „აჭარას“, სადაც თეატრის დასი იყო დაბინავებული. შევიცარმა ბოცა ნომერში აიტანა და ჩვენც ბარბაცითა და ხვევნა-პროშტნით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მძინავს. ტელეფონის ზარია. შუქს ვანთებ. ღამის ოთხი საათია.

– Гогі, дорогой, помоги... помоги... – ისმის ტელეფონში ხმელნიციის განწირული ხმა.

გავვარდი. მოედანზე ავერიალდი თუ არა, „აჭარაც“ გამომჩნდა. იმ დროისათვის ზედმეტად განათებული მეჩვენა. მივუახლოვდი. პირველ სართულზე, ჰოლში, ჩოჩქოლია და ამ კლასის სასტუმროსთვის შეუფერებელი სუნი დგას. ლიფტი. მესამე სართული. კარი გაიღო... მოსამსახურე ქალები სველი ტილოებით და მტვერსასრუტებით გარბი-გამორბიან. კორიდორის ბოლოს ბორია დგას ნიფხავში და თვალებს იფშენებს. დანარჩენი ნომრების ბინადრებს ოთახებიდან თავები გამოუყვიათ და ევაკუაციისთვის ემზადებიან. აქ დაძინება მართლაც შეუძლებელია.

აღმოჩნდა, რომ სერჟიკას ნაჩუქარ ბოცაში მაჭარი იყო. უდულია, უდულია იმ საცოდავს და, ყურადღება რომ არავის მიუქცევია, შუშის ბოცაში ვეღარ ჩატულა, გაუხეთქავს, ძირს გადმოვვრილა და მთელი სართულის ხალიჩის იატაკს მოსდებია.

იატაკი კი გააშრეს ნელ-ნელა, მაგრამ ალკოჰოლის მათრობელა სურნელი მანამ ვერ გაუყვანიათ შენობიდან, სანამ მთელ სართულზე ხალიჩები არ გამოიცივალა.

ახლა ამ სასტუმროში აღარც ხალიჩებია და აღარც ავეჯი. აღარც სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ...

თბილისელი სერგო ფარაჯანოვი რატომღაც ერევანში დაასაფლავეს. სომხებსაც, ჩვენი არ იყოს, მიცვალებულები უფრო ყვარებიანთ!!!

„Они могут любить только мертвых“, – დიდ პუშკინს უთქვამს, ზოგადად, ყველა რჯულის ადამიანზე....



რატომ

– შენ რატომ ნახვედი? – ასეთი მშრალი, მოკლე და პასუხგაუცემელი შეკითხვა დამისვა ჩემმა გამომცემელმა, რომელსაც თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ პირველს მოვუყევი ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის შემზარავი ამბავი.

თუმცა თავიდან დავინწყით. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. ვილაცამ დამირეკა და რაღაც არეულობაა აეროპორტში. იქ მილიციის განყოფილება... უფროსი თამაზია – სოლოლაკელი „დელოზინა“, ზორბა, წყნარი კაცი. ამირანის იქ მუშაობს, ჩემი თანასაკოლელი, მერაბისა და ზვიადის თანაკლასელი. და, საერთოდ, იქ პატარა განყოფილებაა. ყველას ვიცნობ.

დავრეკე. ამირანი შემხვდა. რა ხდება-მეთქი? თვითმფრინავის გატაცება უნდოდათ, აფრინდა თუ არა, მოუთხოვიათ, თურქეთში დაგვსვით, მგონი ვილაცები დაუხოცავთ. ორი საათი იქნება, რაც თბილისის აეროპორტში მოაბრუნებს. მიელი КГБ, ჯარი, შევარდნაძეც კი აქ არის, უნდურება ტრიალებსო. წამით არ შევყოვნებულვარ. აეროპორტისკენ გავრეკე.

რატომ?
ახლა მეც ვუსვამ ამ შეკითხვას ჩემს თავს. არ ვიცი! პასუხი არ მაქვს. თუმცა, რატომაც არა, მაქვს – საშველად! ვის საშველად? არ ვიცი! ანდა მე რა შეველა შემეძლო?

აეროპორტის გადასახვევთან უკვე ГАИ და ჯარის ნაწილი იდგა და არავის უშვებდა. მაშინ სულ ეკრანზე ვიყავი, ამიტომ არსად არავინ მაჩერებდა. მარჯვნივ შევუხვიე, ტუფით ნაშენი აეროპორტის შენობის წინაც მანქანებისა და ჯარისკაცების ტევა არ იყო. განათებულ-გადაბრდვლილია ყველაფერი. სიჩუმე და წესრიგია. მაშინ КГБ-ობდა! მარჯვნივ, მთავრობის შესასვლელსა და მილიციის პატარა, ერთსართულიანი შენობის შუა შევქვერი და მანქანა გავაჩერე.

ასე აღმოვჩნდი მოვლენების ეპიცენტრში. ირგვლივ ნაცნობი და ზოგჯერ უცნობი სახეებიც მიდი-მოდიან. მე ვდგავარ მანქანაზე მიყუდებული. ჯერ არც ვიცი, რა ხდება. პირველი გამოაგნებელი დარტყმა ის გახლდათ, რომ თვითმფრინავის ერთ-ერთი „გამტაცებელი“ გეგა კობახიძე აღმოჩნდა. გეგა მიყვარდა. მისი მშობლები ჩემი ახლობლები არიან. ნათელა თანაკურსელია, მიშა – მეგობარი. მიყვარდა და მიყვარს ეს ხალხი. რა ვუყო ამ ბავშვს, რითი ვუშველო? თვითმფრინავი აქედან არც ჩანს. მარჯვნივ, სადღაც, ასაფრენ მინდორზეა სიბნელეში მიკარგული.

ადრიანი გაზაფხულია. აგრილდა. პირდაპირ მთავრობის ოთახია. იქ, ალბათ, შევარდნაძეა, ინაური... იქ არ შემოიშვებენ. აქეთ? მილიციაში – კი, ალბათ! შევედი. სამორიგეოში ხალხია. თამაზი ჯავშანაშვილეს იცვამს.

მოსკოვიდან „გრუპა ზახვატა“ მოფრინავს. შტურმით უნდა აიღონ თვითმფრინავიო.
დრო ნელა გადის. ინფორმაცია მწირია. ნელ-ნელა გამტაცებლების სია მატულობს. ახალგაზრდებს, გეგას გარდა, არავის ვიცნობ. მშობლებს კი. ვაჟა მიქაბერიძის შვილი აღმოჩნდა ერთ-ერთი. ვაჟა სიმპათიური, საქმიანი კაცია. ივერიელები – ძმები. მამამაგათი გამოიგია – ცნობილი ექიმი.

ირგვლივ სინყნარეა. დაძაბული სინყნარე. ყველა რაღაცის მოლოდინშია. გათენების მოახლოებასთან ერთად ადამიანის მოძრაობის რიტმიც იცვლება. იქ, შორს, უკვე აღარ დადიან – დარბიან. ჩვენც რაღაც ძალას გარეთ გამოვყავართ. ვდგავართ, ისევ, სამარისებური სიჩუმეა. აეროპორტის შენობის უკან მოძრაობა შეიმჩნევა, დაძაბულობა იზრდება. გეგას იქ ყოფნით რეტდასხმული ვარ... გულს ბრაგაბრუვი გაუდის... ირიჟრაჟა... დავი-დარი... ნელ-ნელა ვუახლოვდები შენობას, კიბეს, რომლის ბოლოშიც მთავრობის წევრთა შესასვლელი კარია. კიბის თავზე ორი მამაკაცი დგას. იქ

ასვლას აზრი არა აქვს – არ შემოიშვებენ. კიბის კიდესთან ვდგავარ. უკვე თითქმის ინათა. ადამიანები მოჩანან ცხადად.

ამ დროს გაიღო შენობის კარი, სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა მრგვალი კაცი და არაადამიანური ბარბიტონით დაიღრიალა:

– По машинам!!! – ეს ალექსი ინაური გახლდათ.

იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო ეს შეძახილი დილის სიჩუმეში, რომ მანქანების ხმა აღარ გამოიგონია. სამაგიეროდ, რამდენიმე წამში გაბმული სროლა ატყდა. მცირე ხნით ისევ ყველაფერი დადუმდა. ინაურის უკან ბევრი ხალხი იდგა. ყველგან მანქანები ჩამოაყენეს და ასაფრენი მოედნიდან მანქანებამდე ცოცხალი კორიდორი შექმნეს. ეს თანამშრომლები იყვნენ. ცოტა ხანში რამდენიმე სწრაფად მოძრაობდა, საქმიანი კაცი გამოჩნდა, უკან ორი ყმანვილი მოსდევდა. ერთი – წვერიანი. მიტკლის ფერი ედოთ. ეს ორი ჭაბუკი ძმები ივერიელები აღმოჩნდნენ. გამოაგნებელი სილამაზის ბიჭები. რამდენიმე ნაბიჯით უკან გეგა მოჰყავდათ. კოჭლობდა, რომელიღაც ფეხს ითრევდა, ვილაც თანამშრომელი ეშველებოდა. ისიც მშვიდი ჩანდა, თავი მაღლა ეჭირა, კაცურად მოდიოდა... მისი შემყურე ისე გავფუჭდი, რომ სხვა აღარავინ დამინახავს. მანქანასთან მივიდნენ... გეგა მოტრიალდა:

– ჩემი ცოლი სად არის? – იკითხა.

მერე ყველანი მანქანებში ჩასვეს და დაიძრნენ. რომ გამოვერკვიე, ირგვლივ აბსოლუტურად აღარავინ იყო – აღარც მთავრობა, აღარც КГБ, აღარც მილიციელი ჩანდა არც ერთი.

სრული სიმშვიდე და სიცარიელე სუფევდა. ვიდექი ღამენათვე, ცარიელი, უმნეო! ჩემს წინ ГАЗ-24 გაჩერდა.

– დაჯე, სახლში არ მოდიხარ? – ეს გურამ ლომთაძე იყო – КГБ-ის მაღალჩინიანი თანამშრომელი. თეატრთან ერთად მოგზაურობდა ხშირად. თბილისამდე მდუმარედ მოვდიოდით.

– სახლში მიგიყვანო?

– მანქანა? ჩემი მანქანა სად არის? – ახლავა მომაგონდა ჩემი „ჟიგული“.

– აეროპორტში დაგჩა? – გახუმრება სცადა გურამმა. მე დავუდასტურე.

– ჩვენი ბიჭები საუზმობენ აქვე, რესტორანში, შევიაროთ და ამასობაში შენს მანქანასაც მოვაყვანინებთ, – მითხრა.

რესტორნის „კუპუში“ შევედით. მაგიდას, პირველი პირების გარდა, ყველა ძალოვანი სამინისტროს ნამყვანი მუშაკები უსხდნენ. ვერ ვიტყვი, რომ რაიმეს განსაკუთრებულად ზეიმობდნენ, მაგრამ შიგადაშიგ პატარა კონიაკის ჭიქით ასეთი სადღეგრძელოებიც ისმოდა: დღევანდელი წარმატებულ ოპერაციას გაუმარჯოსო. მე სუფრის ბოლოს ვიჯექი, როგორც დაგვიანებული და თან მათთვის ყველაზე დაბალი სტატუსის მქონე კაცი. ჩემს გვერდით იჯდა უცნობი მამაკაცი, რომელსაც ამ სადღეგრძელოზე თვალზე ცრემლი მოადგა და ხაშით საცხე ჯამში ჩაუგორდა. ეს კაცი, თბილისის ГАИ-ის მაშინდელი უფროსი ვალიკო, იგივე კუკური როგავა აღმოჩნდა.

მანქანა მომიყვანეს. მივატოვე იქაურობა და შინ წამოვედი.

მაშინ არა. არც მერე. არც არასოდეს, მაგრამ ახლა, ამ კეთილშობილმა კაცმა რომ მკითხა, მეც ვეკითხები ჩემს თავს:

რა მინდოდა იქ, რისი გაკეთება შემეძლო მე, ან ნებისმიერ თავგადადებულ ადამიანს დაუნდობელი საბჭოთა მანქანის წინააღმდეგ, რომელსაც ამ „წარმატებული“ ოპერაციისას ამდენი უდანამაულო ხალხი შეენირა: ჯერ ეკიპაჟის წევრები და მგზავრები, მერე ახალგაზრდები, რომელთაც თავისუფალი არჩევანის უფლება და სიცოცხლე წართვა... ■

facebook მიმოხილველი

ბაბრქალაძე

დიდი ხანია, ლიტერატურამ უფრო ნალ-გაზეთებიდან ინტერნეტ სივრცეში გადაინაცვლა. ახლა გაცილებით უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები თავსდება სხვადასხვა საიტზე, ვიდრე პრესის ფურცლებზე.

ამ პროცესმა ერთი დადებითი ასპექტი მართლაც მოუტანა ლიტერატურას - ერთმანეთთან უფრო დაახლოვა ავტორი და მკითხველი და მათი ურთიერთობა უფრო ინტერაქტიული გახდა.

დღესდღეობით, საინფორმაციო ბაზარში სოციალური ქსელების აბსოლუტურმა მონოპოლიამ ყველა ბეჭდური გამოცემა აიძულა, რამენაირად დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საიტთან. სწორედ ამ მიზნით თავსდება „ლიტერატურული საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალები სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე.

დარწმუნებული ვართ, გაზეთის მკითხველს ძალზე აინტერესებს, თუ რა გამოხმაურებები აქვს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს სოციალურ ქსელში.

სწორედ ამიტომ, შევექმენით ყოველთვიური რუბრიკა - **მკითხველის ხმა** - რომლის ფარგლებშიც ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება მიეცემა,

ბეჭდური სახით გაეცნოს კონკრეტულ ნაწარმოებზე ინტერნეტმკითხველის გამოხმაურებას.

„ლიტერატურული საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტისა და კრიტიკოსის **დიმიტრი ბახუტაშვილის** წერილი: „თეთრი ვარდი ანუ ვანგას და ადოლფის სისხლიანი ოპერა (სალომე ბენიდის ერთი ლექსის ინტერპრეტაცია)“, რომელმაც, ბევრი მწერლის აზრით, გამოაცოცხლა ლიტერატურული პროცესი. ხსენებული წერილის გამოხმაურებების რაოდენობამ ყველა რეკორდი მოხსნა - ინტერნეტგვერდებზე უამრავმა ადამიანმა გამოთქვა საკუთარი პოზიტიური თუ ნეგატიური მოსაზრება დიმიტრის კრიტიკასთან დაკავშირებით და მწვავე კამათიც გაიმართა. თავისი აზრი გამოთქვა უამრავმა ნეიტრალურმა მკითხველმაც, მოგვიანებით კი კამათში პროფესიონალი ლიტერატორებიც ჩაერთნენ და დისკუსია უფრო საინტერესო გახდა. კომენტარების საერთო რაოდენობამ კი რამდენიმე ასეულს გადააჭარბა.

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ ამ გამოხმაურებების გარკვეულ ნაწილს.

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ ამ გამოხმაურებების ნაწილს.

ბოდიშს კი ვიხდი შემოქრისთვის, მაგრამ არ შემეძლო არ მეთქვა და თუ მაინცდამაინც აუცილებლობა მოთხოვს ახსნითაც ავხსნი მაგ ლექსს, არ არის იმ სირთულის სიმბოლოები, გაჭირდეს მიხედვრა. აქვე, სანამ ზოგიერთ ეპიზოდზე შევაჩერებდე თქვენს ყურადღებას, მინდა ვითხრა, რომ მე არ ვდაობ იმ საკითხ-

ზე, კარგი ლექსია თუ არა ეს, რამდენად ოსტატურადაა დაწერილი და უკეთესად შეიძლება თუ არა სათქმელის გადმოცემა. მე უბრალოდ ზოგიერთი ეპიზოდის განსხვავებულ ინტერპრეტაციას მოგახსენებთ. ბოდიშს ვიხდი კიდევ ერთხელ, თქვენს საუბარში რომ ჩავეხერხე.

ავტორი: **ზაალ ჩხეიძე**

მე მოვისმენდი სიამოვნებით ახსნას, აუცილებლობის რა გითხრა. ბატონო ზაალ აქვე, მეც დავეძენ, რომ მე არსად მიწერია, ჩემი ინტერპრეტაცია უალტერნატივოა-მეთქი.

ისიც საინტერესოა, თქვენი შეხედულებით როგორი ლექსია, მაგასაც ნუ ავუვლით გვერდს.

ავტორი: **დიმიტრი ბახუტაშვილი**

მე როგორც რიგითმა მკითხველმა დიშას წერილის ნაკითხვით უფრო მეტი სიამოვნება მივიღე, ვიდრე სალომე ბენიდის ლექსებით მთლიანად.

ავტორი: **მინდია ცეცხლაძე**

ვფიქრობ, ლექსის საერთო სურათიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ლექსის სუბიექტში, რომელსაც თქვენ ადოლფს უწოდებთ, ბიბლიური ღმერთი იგულისხმება, გარდა სხვა სიმბოლოებისა, რომელიც ასევე უხვადაა ტექსტში, ნაწარმოებში შეგხვდებათ ერთი ცნობილი და, მე ვიტყვოდი, ოდნავ გაცვეთილი განმეორება ცნობილზე ცნობილი მთარეული ფრაზისა, რომელიც ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართებას ეხება და ამტკიცებს, რომ ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ. ახლა დასაწყისის გამო, აშკარაა, რომ ტექსტში ავტორი უსაშველოდ მასშტაბურ ტრაგედიაზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს გაბრაზებული, აჯანყებული ადამიანის პოზიციიდან, ადამიანისა, რომლის სულიერი დრამაც კაცობრიობის

დრამამდე მალდება და პირიქით, კაცობრიობის დრამა, რომელიც მხოლოდ ერთი სულიერის ანარეკლიც შეიძლება იყოს. აქვე უნდა დავამატო, რომ ლექსის თანმდევი ლოდინის, გნებავთ „ცდის“ მოტივი ახალი როდი გახლავთ ლიტერატურაში და იგი ძირითადად ერთი დანიშნულებით გამოიყენება ხოლმე (თუ სატრფიალო პოეზიასთან არ გვაქვს საქმე), როცა ლირიკული გმირი ღმერთს ელის. მაგალითისთვის ქართულ პოეზიაშიც მრავლად შეგვიძლია მოვიპოვოთ მსგავსი სიტუაციები, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითისთვის კი, აკუტაგავას მინი ტექსტიც „ასე სწამდა ბისეის“ - აც იკ-მარებს. თუ გვამბობს და ჯვრებზე მიდგება საქმე, რომლებიც სიტყვამ მოიტანა და არ ჩანს, ასევე შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიო ლიტერატურაში თოვლი მეტისმეტად ხშირად გახლავთ დაინყების, სამუდამოდ ნაშული წარსულის სიმბოლო, ეს მიტოვებული საფლავები როდი გახლავთ, ეს უბრალოდ „გასუქებული მინაა“, როგორც დიდი ქართველი პოეტი იტყვოდა, თოვლ ქვეშ დამალული ჯვრები კი საკმაოდ ხშირად შეგხვდებათ თუნდაც ფიზიკური გაგებითაც, მათ შორის გერმანულ ლიტერატურაშიც და ზოგადად ჩრდილოეთის ქვეყნების ხელოვნებაში. რაც შეეხება ჭრულ კაშნეს, ჩემი აზრით ეს მეტად მომხიბვლელი (და ჩემთვის ყველაზე ღირებული ამ ლექსში) მეტაფორა გახლავთ, ხოლო თვითმკვლეელი ღმერთი, ეს ლექსი, ჩემი აზრით ადამიანის, როგორც არსების, როგორც უფლის სახისა და ხატის, სამყაროსეულ მარტოობაზეა, ერთგვარი ხარაკირია, საკუთარი თავის გაძევება სამყაროდან საკუთარივე ნებით, რადგან ლირიკულ გმირს ვეღარ აუტანია ფარისევლობა, სიმარტივე და დავინყება ყოველდღიურობისა და უფალს, როგორც მთავარ დამნაშავეს, გნებავთ, მთავარ მოპასუხეს მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი დანაშაულის ადგილზე იბარებს. ეს ერთგვარი სასამართლოა, სადაც ადამიანი საკუთარ მარტოობას, უსუსურობას და სიყვარულს დასტირის, სიყვარულს სამყაროსადმი, თავად უფლისადმი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ბატონო დიშა, მე რა მომწონს ამ ლექსში, ყველაზე მეტად სიმამაცე მომწონს, ლირიკული გმირის უნარი, თან „იკივლოს“ ტკივილისგან გონდაკარგულმა და თან უყვარდეს.

ავტორი: **ზაალ ჩხეიძე**

ბ-ნო ზაალ ძალიან საინტერესო რამეები კი თქვით, მაგრამ სამწუხაროდ ეს ლექსი მაინც ვერ ახდენს იმ ეფექტს, რაც თქვენებულმა ახსნამ ოდნავ მაინც მოახდინა და ეს ძალიან ცუდია ნებისმიერი ლექსისთვის, თვითონ ეს თემატიკა ისეთი შორეული და აბსტრაქტულია, არაფერს აძლევს დღევანდელ მკითხველს, მით უმეტეს ასეთი სიმბოლოებით და ქვეტექსტებით დატვირთული, თქვენ რომ ჩამოთვალეთ. გასაგებია, რომ ხშირად ხდება რელიგიური პოეზიის „შეფუთვა“ სატრფიალო პოეზიით, მაგრამ არც ეს მიმართულება მხიბლავს დიდად და თუ მაინცდამაინც მომეწონა, ფორმა და სახეები მაინც უნდა იყოს სწორად შერჩეული; ღმერთის მოხმობა, მისი სიკვდილი, ადამიანის და ღმერთის ურთიერთდამოკიდებულება და მსგავსი რამეები არა მგონია თანამედროვე მკითხველს კიდევ აღელვებდეს, მეტი რეალური შეგრძნებებია საჭირო და არა ეს ფსევდორელიგიური აბსტრაქცია. რაც ეხება კაშნეს, მართლა ძალიან სასაცილოა. მით უმეტეს, რომ ცნობილი ფილმის ასოციაციას ინვევს. ლირიკული გმირის უნარი „იკივლოს“ სწორედ ისაა, რაც ასე ძალიან არ მოგვწონს მე და ჩემიანი მკითხველებს.

ავტორი: **მინდია ცეცხლაძე**

ბატონო მინდია, მე ჩემი სიტყვა სწორედ იმის აღნიშვნით დავინყე, რომ რასაც ვიტყვოდი, არავითარი კავშირი არ ექნებოდა ლექსის მხატვრულ დონესთან. ცხადია, ნებისმიერ მკითხველს, ლიტერატორს თუ ვისაც გნებავთ, აქვს უფლება, მოსწონდეს ან არ მოსწონდეს ესა თუ ის ნაწარმოები. მხოლოდ იმიტომ ვილაპარაკე ამდენი, რომ ჩავთვალე, მთავარი სიმბოლოები ამ ტექსტისა (კიდევ ვიმეორებ, არც ისე რთულად ამოსაცნობი) არასწორად იყო გადმოცემული წერილში. ალბათ დამეთანხმებით, რომ შეიძლება თქვენთვის ან მკითხველთა ერთი ნაწილისთვის არა, მაგრამ სხვებისთვის, მკითხველთა მეორე ნაწილისთვის კვლავაც გულზე-მოსახვედრი და საინტერესო გახლავთ ზემოხსენებული თემატიკა. ვფიქრობ, ამ ლექსის შემთხვევაში, არსებობს სრულიად აშკარა (იქნებ თქვენთვის ან ჩემთვის არმოსაწონი) მეტაფორები, რომლებიც წერილში ერთმნიშვნელოვნად თავისებურად ჰქონდა წერილის ავტორს გაგებული, ამიტომაც მოგახსენებთ ამდენს. გარდა ზემოთქმულისა, მართალია ჩემი სტუდენტი გახლავთ და ეს ყველაფერი უფრო მის გასაგონად ვილაპარაკე, თორემ ზოგადად არ მიყვარს ხოლმე მსგავს დისკუსიებში ჩართვა.

ავტორი: **ზაალ ჩხეიძე**

გასაგებია და მადლობა მონოდებულ ინფორმაციებისთვის და ახსნისთვის, თუმცა დამეთანხმებით, რომ როცა ფორმა არ „გითრევს“, არც სიმბოლოებს უღრმავდები დიდად, თორემ იქნებ მართლაც იყოს ადვილად ამოსაცნობი, პირადად ჩემთვის არ იყო ადვილად ამოსაცნობი, რაც ეხება დიშას წერილს, ესაა ოსტატურად შესრულებული შარჟი, კონკრეტული მკითხველის კონკრეტული ინტერპრეტაციის პირობებში და მე მგონია, რომ ამ ინტერპრეტაციასაც აქვს არსებობის უფლება, მკვეთრი მიჯნა აქ არ არსებობს, პლურალისტური ინტერპრეტაცია ამ ლექსის შემთხვევაში აბსოლუტურად შესაძლებელია და დიშას ვერ მოვთხოვთ პასუხს, რატომ მაინცდამაინც ასე გაიგე და არა ისე, როგორც ავტორმა ჩაიფიქრა-ო; ასე რომ, ავტორის მხატვრული ნაკლებობის გათვალისწინებით სრული თავისუფლება გვაქვს მსგავსი სატირულ-იუმორისტული-ირონიულ-სარკასტული გადმაცემის აღიარების, მითუმეტეს რომ ლაღად იკითხება და ჩემთვის პირადად სასიამოვნო და სახალისო ემოციებს აღძრავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, :) მე პირადად აქ ვერც გამწარება და ვერც განზრახ არასწორი ინტერპრეტირება ვერ დავინახე, ესაა და ეს.

ავტორი: **მინდია ცეცხლაძე**

ბატონო ზაალ, ნაკითხვით თქვენი ვერსია და ვთვლი, რომ ჩემი „შარჟული“ ინტერპრეტაცია გაცილებით ლოგიკურად ერგება ტექსტს, ვიდრე ეგ ყველაფერი. სხვა თუ არაფერი: „შენს სულს ჭირდება, მოხსენიება ჩემს ჯვრაც უთქმელ ღამის ლოცვებში“ - ამას წერს ღმერთზე? რა ვიცი... რა ვიცი...) თუმცა, მადლობა, რომ გაისარჯეთ. რაც შეეხება ჯვრებს, იქ სასაფლაო არაფერ შუაშია, იქ ერთი ძალიან უადგილო სიტყვაა: „არასოდეს“

ავტორი: **დიმიტრი ბახუტაშვილი**

ლექსიო - რომ ამბობთ, მე მაგაზეც მეცინება, რომელია ლექსი? თუ თითო წინადადებას სხვადასხვა ხაზზე დაწერო პროზაში ლექსია, სადა აქვს ამ ნაწერს ან შიდა მუსიკა, ან რიტმი, ან რითმა, და ამ ყველაფერთან შინაარსიც თუ ვერ ჩაუდია ავტორს, რაღას წერს საერთოდ. სხვა საქმე ნახოს, ჯობია.

ავტორი: **ზურა ჯაფარიძე**



„ალბათ ჯობდა თავიდანვე სალი [ხორხი] გაონოდა!“

ვაჟა ოლონდ ოთარაშვილის პოეზიის ანატომიური ბარკვეულობისთვის

ლეჩსო დორაული

 ცნებამ – „თანამედროვე“ – ქართულ პოეზიასთან მიმართებით დროით-სიტუაციური ორიენტაციების მნიშვნელობა რომ დაკარგა და რატომღაც ინტელექტუალური ღირსების აღმნიშვნელ ეპითეტად მოგვევლინა, ამას უკვე ყველა შეგვაჩვენეს. დღესდღეობით მწერალი, რომელიმეც, საკუთრივ ჩვენი გაგებით, ითქმის, რომ „თანამედროვეა“, სავარაუდოდ, ერთმანეთს არ ურითმავს სიტყვებს „ვარდი“ და „დარდი“ და, ამავე დროს, აუცილებლობის წესით, რომელიმე ბურკინაფასოელი ფილოსოფოსის უმნიშვნელოვანეს ფრაზასაც წარუძმდვარებს საკუთარ ლექსს ეპიგრაფად. ასევე გარდაუვალია, სოციალური ქსელების მეშვეობით მკაცრად აფიქსირებდეს საკუთარ ძვირფას აზრს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს „ველარ უმულამებს“. თუ თქვენ გადაწყვიტეთ, გახდეთ თანამედროვე მწერალი, თუმცა მთლად ისე ახლოსაც არ იცნობთ ბურკინაფასოელი სიბრძნისმეტყველებას (ეს თქვენი ინტელექტუალური „დაბრაკვის“ მიზეზი აუცილებლად გახდება) და დიდ ქართველ პოეტსაც ჯერ კიდევ „უმულამებით“, არ შედრკეთ; არსებობს სხვა „გზა ხსენსაც“ – გამოათავისუფლეთ თქვენში დამწყვეტული სექსუალური მანიაკი, ლექსში თუ მოთხრობაში (არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) დაანთეთ ვნების ხანძარი და ალგზნებული მიჰყვიეთ საკუთარი ლიბიდოს აწყვეტილ ძაბოებს.

ავტორი, რომელზეც ვაფრთხილდები, ჩემი მოკრძალებული აზრი მოგახსენოთ, უფრო თანამედროვე მწერალთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ვაჟა ოლონდ ოთარაშვილის პოეზია თემატური თვალსაზრისით, ძირითადად, ორ სატრფიალო და პატრიოტული ლირიკის ხაზს მიჰყვება. სანამ საკუთარ აზრს გამოვთქვამდე გალაკტიონ ტაბიძის, საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა ასოციაცია „გულანის“ და აღმა-ათის პოეზიის ფესტივალების პრემიების ლაურეატის შესახებ, მოდით, თავად ავტორს მოვუსმინოთ, ვნახოთ, რაოდენ მოკრძალებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მასზე საკუთარი ლექსები:

„შენ მანერინებ ლექსებს – შედეგებს“.

გვამცნობს ბატონი ვაჟა თავისი ერთ-ერთი „შედეგის“ დასაწყისში. ვერაფერს იტყვი... ძალიან არ მინდა ვიფიქრო, რომ პოეტი გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, ამიტომაც მოდით, ერთად ვნახოთ, არის კი ჭეშმარიტების მარცვალი თვითშეფასების ესოდენ გულწრფელ ნიმუშში თუ საქმე გვაქვს განდიდების მანიით შეპყრობილ ნარცისთან?

 ვაჟა ოთარაშვილი სულით ხორცამდე ეროტიკული პოეზიის წარმომადგენელია და, ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ის ხშირად აღწერს სასიყვარულო სცენებს. თუმცა ავტორი განსაკუთრებულ შემეც-



ნებით ინტერესს კონკრეტულად კერტის, ე. წ. „ძუძუს თავის“ მიმართ ამაყდენებს. ამიტომაც წერილის დასაწყისშივე გირჩევთ, 18 წლამდე ასაკის მოზარდებს ნუ მისცემთ ვაჟა ოთარაშვილის სექსუალურ თავგადასავლებში ასე ცხადად გარკვევის უფლებას. არ არის მაინცდამაინც აუცილებელი, რომ თქვენმა შვილებმა თეორიული სექსოლოგიის სრული კურსი სწორედ ბატონ ვაჟასთან გაიარონ...

 თავიდან, ტრადიციულად, ის თავისი უპრეცედენტო სექსუალური ფანტაზიების მსხვერპლის შეცდენის გზებზე იწყებს ფიქრს:

„იქნებ, როგორმე შეგაცდინო, იქნებ, ლოგინში ჩავიგორო“.

შემდეგ კი, როდესაც სტრატეგიას დასახავს, ძირითად საქმეზეც გადადის – ლექსების აბსოლუტურ უმრავლესობაში აქტიურად ეფერება და კოცნის ძუძუს თავებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიას:

„მკვრივი მკერდი – დაცვარული ოფლით მოხვერებილი ცხელი კოცნის პეშვიტი“.

დამეთანხმებით, ესთეტიკური თვალსაზრისით ამ საკმაოდ მდაბიოდ აღწერილი სურათის პრობლემა მხოლოდ მის პროვინციულობასა და ვულგარულ ნატურალიზმში არ მდგომარეობს. დიახ, მართალია, სრულებითაც არ არის სავალდებულო, პოეტმა საკუთარი სექსუალური გამოცდილება ასე დეტალურად გაგვიზიაროს, მით უმეტეს, თუ ეს უკანასკნელი, არც მეტი, არც ნაკლები, ვილაციის მკერდის ოფლის ხვრეპას გულისხმობს, მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. საქმე ის არის, რომ, გონების მაქსიმალური დაძაბვის მიუხედავად, მაპატიეთ, მაგრამ ვერ გამოვიცანი, თუ რას უნდა ნიშნავდეს შესიტყვება „კოცნის პეშვი“, რომელიც ოფლით დაცვარული მკვრივი მკერდის მოხვერებას ასე თავგამოდებით ცდილობს. თუმცა აქვე გაგაფრთხილებთ, რომ ავტორი ფრიად გულუხვი და მსგავსი სპეციფიკის რეზუსებით სხვა ლექსებშიც აბედნიერებს მკითხველს.

როგორც ვთქვი, ვაჟა, ოლონდ ოთარაშვილი, საკუთარ ესთეტიკურ აღქმას ძირითადად მკერდს „უმიზნებს“ და, მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ხშირად „არტყამს“ კიდევ. ყველა ამობურცული ადგილი მის წარმოდგენაში ასოციაციურად, მექანიკურად სწორედ მკერდს უკავშირდება (საქართველოს მთავორიან რელიეფს თუ გავითვალისწინებთ, პოეტს ამ მხრივ საკმაოდ გაუმართლა)... ასე მაგალითად, ერთ-ერთი ლექსი-სექსის ლირიკულ გამოსახულებაა „სასაფლაოს მყუდრო მინდორთან ბორცვი“, ყოველ მიზეზგარეშე, მშობლის მკერდთან სათუთს ახსენებს. ფრიად დასაფასებელია, რომ ერთგან აღწერის ადრესატს კერტზე ენძელის სუნიც კი ასდის. სხვაგან კი ავტორი განზილებული წინასწარმეტყველებს:

„ამოშანთავენ სხვისი ტუჩები, ჩემი კოცნებით დათრთვილი კერტებს“...

„კოცნები“ რა ენობრივი წარმონაქმნია, ალბათ, ავტორმა თავად უკეთ უწყის და ნუ შევედავებით...
 სხვაგან კი ფანტაზირობს:

„ნეტა, როგორი იყავი სხვასთან, როგორ ნვებოდი, როგორ იხდიდი“.

.....
 იქვე, პასუხობს:

„და ძუძუ-მკერდზე გწვდებოდნენ ურცხვად“.

.....
 „ძუძუს ვინ ჩამოგიხიკვებს“

(თუ მაინცდამაინც ძუძუ უნდა ჩამოხიკვებულ, მნამს, ეს ამბავი გამართული

ლი ქართულით აჯობებს – „ჩამოგიხიკვებს“).

ავტორი გადაუჭრელი დილემის წინაშე დგას: დაუსვას თუ არა წერტილი „კოცნის პეშვიტი“ თუ სხვა ორგანული საშუალებებით ოფლით დაცვარული ძუძუების ხვრეპას და რიტორიკულად ეკითხება კიდევ საკუთარ თავს:

„არ დაიქანცე ტრფობით, ვნებებით?“

მრავალხინიანი ბჭობის შემდეგ კი ასკვნის:

„მე ყველა ერთად უნდა დავტოვოთ, ჩემო ძმებო და ჩემო ქალებო“.



ამ ფრაზის შემდეგ ესოდენ გაბედნიერებული მკითხველის დანახვაზე, რომელიც ფიქრობს, რომ აღარ მოუწევს ვილაციის „ჯიკნებზე“ (ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ ბატონი ვაჟა „ძუძუს“ „ჯიკნით“ ანაცვლებს) გაუთავებელი მსჯელობების მოსმენა, ავტორი თითქოს ეშმაკურად ჩაიქირქილებს – ხომ გაგაცურეთო, იტყვის და ნათელი ხდება, რომ კერტების მიტოვება არ ყოფილა მისი საბოლოო გადაწყვეტილება. მალევე გაგვიმხელს:

„ვერ ჩავიკალი ცხელი ვნებები“.

ანდა:

„ვის დარჩა მკვრივი ძუძუს კერტები, ანაკერტცხლება ნეტა ტუჩების... დასავიწყებლად არ მემეტება, (ვით ნაკოცნებით დანალურჯები)“.

მოკლედ, ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის ერთ-ერთი (იქნებ ერთადერთი) უძირითადესი მიზანი იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემის გადაჭრაა, ბოლოს და ბოლოს, შეეშვას თუ არა „კოცნის პეშვიტი“ „ნაკოცნებით დანალურჯები“ „ძუძუს კერტების“ ოფლის ხვრეპას. ის ამ ურთულეს მისიას წარმატებით ართმევს თავს და გამოუტანს კიდევ საბედისწერო განაჩენს თავისი მიჯნურის, რა თქმა უნდა, კერტებს:

„ავიკვლდება ტკივილით კერტი“.

„ტკივილით აკივლებული კერტის“ შთამბეჭდავ გაპიროვნებას მოსდევს ის, რომ მას შემდეგ, რაც ვაჟა ოლონდ ოთარაშვილი ბოლოს და ბოლოს დაგვაცენებს სამველს და შესაძლებლად საკუთარ მამაკაცურ ვალდებულებას, სამწუხაროდ, ამართლებს ფრაზას – „ყველა კაცი ერთნაირია“ – და საკუთარი მსხვერპლის ვინაობას სრულებით იფიქსებს:

„ეს მერამდენედ ვერ გავიხსენე – შენი სახელი“...

თუმცა აღმოჩნდება, რომ აკივლებული კერტის (საწყალი კერტი ვაჟა ოლონდ

ოთარაშვილის ხელში!) მფლობელის კლანჭებს ასე ადვილად ვერ დააღწევს თავს და იმკის კიდევ დამყარებული სექსუალური აქტის მოულოდნელ შედეგს:

„შენ ჩემითა ხარ ვიცი, ორსულად“.

„ჩემითა ხარ ორსულად“ ქართულად არაფერს ნიშნავს და სტილისტურად გაუმართავი ფრაზაა, თუმცა მსგავს ენობრივ „გადახვეწებზე“ მკითხველი ყურადღებას ნუ გაამახვილებს, რადგან, როგორც მისი ლექსებიდან ირკვევა, ბატონი ვაჟა დიდ უთანხმოებაშია ქართული ენის ელემენტარულ ნორმებთან. ასე რომ, ლინგვისტური თუ გრამატიკული ხარვეზების აღწერას აზრი არა აქვს – ამ მხრივ,

კერტების რისხვა და ამკივლებელი ოთარაშვილი დიდსულოვნად ადასტურებს, რომ ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე მართლაც უსასრულოა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ავტორის ერთ-ერთ ლექსში მოხმობილი ფრაზა – „და აულებელ ციხესიმაგრედ დამიხვდა მკერდი განალაღები“ – ზემოთ დადგმული კოლუმბიური ტელე-სერიალის ფონზე ნამდვილად რეალობას მოკლებულია...

 ვინმე შეიძლება შემომედავოს, ეროტიკული სცენების აღწერას, სჯობდა, მხატვრული ტექსტის უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლები გაგენალიზებინაო და იმ არგუმენტსაც მოიტანს, რომ სატრაფილო ლირიკა კარგად ადაპტირებული ხაზია ქართულ პოეზიაში. ამ მოსაზრებების საწინააღმდეგოდ შემიძლია ვთქვა, რომ ტექსტი ის არის, რის საშუალებასაც თავად იძლევა.

ვაჟა ოთარაშვილის ლექსების მინიმუმ 87-92% კი მათი შემქმნელის დაუკმაყოფილებელი თუ დაკმაყოფილებული სექსუალური ფანტაზიების შესახებ მთელი გატაცებით მოგვითხრობს. ასე რომ, როგორც ერთი ძველი ქართული ანდაზა გვეუბნება, ძალიანაც რომ ეცადო, „ოქროს საწახვეზე ვერ იპოვი“. გარდა ამისა, იქნებ უცნაურიც კია, 50 წელს გადაცილებული, უმაღლესდამთავრებული ადამიანი გაუთავებლად წერდეს საკუთარი სექსუალური ცხოვრების თუ ოცნებების შესახებ და ამკვყენად სხვა არაფერი ჰქონდეს საფიქრალი და სადარდებელი. ნუთუ საუბრია ერთადერთი საშუალება საკუთარი ვნებების დასაოკებლად?! რამდენად ნორმალურია, ზრდასრული ჰომოსაქსიანი წინააღმდეგ 30 გვერდში 100,6-ზე მეტჯერ რომ ახსენებს „კერტს“, რიგ შემთხვევაში, აკივლებულს?!
 ესეც რომ არა, როგორც ვნახეთ, ვაჟა ოთარაშვილს არც ეროტიკულ პოეზიაში უჭრის კალამი: ვნებანი სცენების ▶▶



თამარ შაიშველაშვილი

სისხლმდინარე დრო

ცანატირალი კოშკები
 დილაბინდივით დგანან,
 ივედრებიან ნისლეტში
 უფლისციხე და ბანა.
 ცრემლი ცრემლს მოსდევს,
 განთიადს შეფითრება მიძივად,
 თუ ამ გულთმისან ღრუბლებში
 ჩემს თეთრ ანგელოზს სძინავს.
 ჩათვლემილია მთის სიო
 ყაყაჩოების ველზე,
 ჩამოგდებული ზარივით
 მზარავს ეკლებით
 ეს მზე.
 წინამურისთვის ნასროლი
 ისევ ცხელია ტყვია
 და ამ სევდიან განდობას
 სისხლმდინარე დრო ჰქვია...

ცანატირალი კოშკები
 მზერავედრებით დგანან...

ქეთევან დედოფალს

შირაზის მრუმე ქუჩებში
 ასკილის ცეცხლით თენდება...
 ცა ღელავს, სულისურჩობით
 ხელაპყრობილა ქეთევან!
 ასკილის ცრემლის ფერია
 გული, თითები, სანთელი...
 დედოფლის განაჩენია
 აღმოდებული შანთები.
 დედოფლის ცრემლის ფერია
 წვიმები მზერალურჯები,
 სიცოცხლე არაფერია
 თუ სამშობლოს არ უძღვენი...
 ქარი ქრის, ღრუბლის ნაფლეთებს
 აუფრიალებს შაჰ-აბასს...
 ეს სისასტიკე მაფეთებს,
 სული სამყაროს განაბავს...
 სული სინათლის ნისლია,
 ვნებული სისხლის ცრემლებით
 და ქრისტეს სასძლოს მისიით
 მზის გულზე გაიმერცხალებს...
 მზე ლალისფერი სხივებით
 მიუსალბუნებს დედოფალს
 და ცისკრის ჩამოსხივებით
 შევედრება სვეფუფალს...
 შირაზის მრუმე ქუჩებში
 ასკილის ცეცხლით თენდება...
 სიმტკიცე – თმენაუჩვევით
 ლოცვად დამდგარა ქეთევან!

თეთრი ფოთოლი

შოთა რუსთაველს

შემოდგომაზე აენთება
 ფერი მგოსანი...
 თეთრი ფოთოლი ვეფხის ტყავის
 სიმღერას გალობს...
 მომეც სურვილი, მზეო
 მიჯნურთ შესამოსელი,
 თამარ დედოფლის ცრემლის წვეთი
 მონყდება ტატნობს.

რომელმან შექმნა ეს სამყარო
 ფერადლალებით...
 ჩემი სურვილიც ამოქარგა
 მთვარიან ბეჭდად...
 როს უცხო მოყმე შავი ცხენის
 ფლოქვებმარებით
 ვარდისფურცლობის სიყვარულის
 სასწაულს სჭედდა...
 გარღვეულიყო ზეცა, როგორც
 მესხის ჯავშანი,
 თრობის გვირილებს
 გიგროვებდი დედოფლის ფარჩას...
 უცხო მზარეში დაგეძებდი
 ქარი აშარი...
 საქართველოში გაბრუნებდი
 მლოცველს და მაშვრალს...
 სიტყვებს საკმევლის სურნელებით
 ვეძებ მოთოვლილს,
 სანთლის სხივი ვარ ვარძიაში
 ახდენილ სიზმრის...
 ხვალ მესხეთიდან აფრინდება
 თეთრი ფოთოლი
 და ლექსში სისხლის
 დაძახილზე მზენესტანს იხსნის..

როდესაც მოდის მონატრება,
 ჩემს ხელისგულებს
 ეცვლებათ ფერი და
 ჩამოკრეფილ ჟოლოების
 სურნელი ასდით,
 თავბრუსხვევამდე
 შენი გემო,
 შენი სურვილი...
 ხელისგულები ტირიან
 მარტში...
 სიმარტოვეში ტრფიალების
 ალვარტოები...
 სისხლმდინარე და სისხლნატრულა
 სიყვარულით
 დატალღულები...

მე შენ მიყვარხარ წერილიდან წერილამდე,
 როგორც თოვლიდან თოვლამდე,
 ანდა ცრემლსა და ცრემლს შუა ამოსულ...
 გვირილებში...
 რომლებსაც სძინავთ!

წვიმის პატარძალი

მე შენი წვიმის პატარძალი ვარ –
 მზის ცრემლიანი კრიალოსანი...
 თეთრ ღამეებში ჩუმად ვტირივარ,
 ვით დაბინდული სევდის სოსანი...
 მე შენი ნისლის პატარძალი ვარ,
 ხან მთვარიანი, ხან – ღამიანი...
 სვემშვენიერი ნატარძალი ვარ,
 ვედრებით გიხმობ რა ხანი არი...
 მე შენი ზეცის ერთი სხივი ვარ
 და მყინვარწვერი თოვლით შობილი...
 დრომ, ავბედითმა, ვერ გამისხვისა
 უჟამო სევდა – მხოლოდშობილი!

მე აქ მოვედი,
 იღუმალეა
 შენი სულივით
 ფეხდაფეხ მდევდა...
 შორს, ალაზანზე,
 ცის მდუმარება
 დილის ხასხასა იებში
 თვლემდა...

ქარმა აქ ჩვენთვის
 გაიქორბუდა,
 შენთვის რეკავდნენ
 ზარებიც ხირსის...
 და სამრეკლოსთან,
 მზის ქონგურებზე
 მნიფს ბრონეული –
 წარსულის სისხლი!

არ დაკრიფოთ ყაყაჩოები
 აფხაზეთში –
 არ გაუხსნათ გული ჭრილობას...
 ისედაც სისხლისგან ვიცლებით...
 ისედაც ავდარია უ (სულ) დარო...
 ჩამოხსნილია ყველა ზარი
 და თოკები მარყუჟების ნაგლეჯებია!
 სიცოცხლე სიკვდილია,
 ხოლო სიკვდილი წყევლის წყევლა –
 დაშვებული შავი ალაში...
 ვერ გავდივარ მე ამ გულიდან,
 ამ მიწიდან და ჭრილობიდან!
 ჩემი ძვლები აქ იზრდებიან
 და ანათებენ...
 აქ საზრდოობენ მშობლიური ტკივილებიდან,
 აქ ირთვებიან სასუფევლისთვის
 და ვარსკვლავების თვალევივით
 მშობიარობენ...
 ჩემი ძვლები ჩემი ბეღია!
 დაბადებიდან სისხლის სევდა-ავგაროზებით
 მომღერალი ზანზალაკებად...
 ზარზმის ზარებად
 ზეაზიდულნი!

არ დაკრიფოთ ყაყაჩოები აფხაზეთში –
 არ გაუხსნათ გული ჭრილობას!

ნუ გეშინია!

ნუ გეშინია! მე დათოვლილ
 მზიდან მოვედი,
 არ ვწვავ, სულს ვუდგამ მონატრების
 ედელვაისებს...
 რადგან მოვედი, ამ სოფელში
 ვიცდი დროებით
 და შენს ხელებში ვეძებ თრთოლვით
 ედემმაისებს!


ნუ გეშინია, ამ სიყვარულს
 იის ძალა აქვს,
 და თუკი მაინც უმწეობით
 სისხლი აყვირდეს...
 არყოფნიდანაც არ მოგაკლებ
 ფერადსანახავს –
 დავინწყებასაც
 გაზაფხულად აგიყვავილებ!

რომ...

ჩვენს სარეცელზე დავრგე კესანე,
 თვალევი მინდვრის სურნელს შესვამენ...
 ჩამოიცლება აპრილის თასი
 და მოვის ღილებს სიმღერით ჩახსნის.
 რიჟრაჟზე მთვარის ფერებ-თენებით
 უძირო სევდად გაგიტენდები...
 რომ გამოვისხა სინათლის რტონი
 და სიყვარული სამყაროსტოლი...
 რომ სარეცელზე ვგავდე კესანეს,
 რომ წლები ვეღარ ჩამომლენავენ!
 ვივლით ჟამიდან ჟამთა ქროლაში,
 გაზაფხულების ჩამოთოვაში...

ავგისტოს უსაშველო სიცხეში,
 ჩინური საბითუმო მალაზიის
 ვიტრინაში
 ირეკლება თბილისის ძველ ეზოში
 თოკზე გაფენილი პერანგი –
 სამშობლოს მარადი სევდა...

უცხო ქარების მძევალი ვარ,
 ცრემლშეყინული ბაგეზე...
 შავმოპრიალე გრძელ ღამიდან
 ცისკრის ვარსკვლავით დაგეძებ.
 მითხარ, სიმშვიდევ სად გაქვს, მდელი,
 თუნდ გვალვებისგან სულს ლევდე...
 ეს ნაპირია საქართველო,
 ვით ღვთისმშობელი ღრუბელზე...



გიორგი შველიძე

ქურდებში ხარ და შენც ქურდულად გიჭირავს თავი,
ლოთებში ხარ და შავ ღვინოს სვამ
აზარფეშებით,
მიამიტი ხარ, ქედმაღლობა თუ არ შეგშენის...
მიდის მდინარე და მდინარეს მიჰყვება ნავი.
იქნება, მოხდეს და გამჟღავნდეს თეთრი და შავი,
ეს თვალთმაქცობა არსმენილი დაგიჯდეს
ძვირად,
ყროყინის გამო თუმც ითვლები აქ მთავარ
ვირად...
მიდის მდინარე და მდინარეს მიჰყვება ნავი.
რა უნდა გკითხო, თავად უწყი კარგის და ავის,
საამსოფლიო სიხარულის, ტანჯვის და გვემის,
ო, ავიცენა, ბედაურო არაბულ რემის,
მიდის მდინარე და მდინარეს მიჰყვება ნავი.
გარკვეულ დრომდე, ჯერჯერობით მეც ვირად
ვრჩები,
კურთხევა ვირებს, ვირიშვილებს სალამი ჩემი!...

ვაჰ, ეს ცხოვრება უფერულად მოდის და გადის,
ვერვინ გაიგებს, ვინ ვის კოცნის, ვის ეფერება,
ძველი ვაჟყვიდე და ახალი ვიყიდე დარდი,
ვიმღერო, მაგრამ ამ ოხერ გულს რა ემღერება.

დრომ, ყოვლის მჩხრეკმა, მერამდენედ ამილო
ქირდად,
ჩემი სულის გზა კვლავ ბავშვივით მიამიტია,
გამინიერდა, გაბალახდა და განახირდა –
განა აბრამი ძველი დროის ძველი ჩიტია.

სულისთვის გვემა აღარ არის ახლა მოდაში,
ადამის მოდგმა პურით ცხოვრობს ერთით,
მარტოდენ,
ხელში ჩამეფცქვენა ეს ცხოვრება ძალღურ
ყოფაში,
ძალეებს ძალლობა აღარ სურთ და მგლობას
ნატრობენ.

უფლის საყდარში, ალბათ, მალე არვინ ილოცებს,
ვერ ვპოვე ნამი, რომლისთვისაც ღირდეს
სიცოცხლე.

შავი ღვინო და შავი ღამე დავიძმობილე,
აქ სიყვარულმა მზიანი ცა ვერ გაითენა,
ვტოვებ ამ საძმოს, გაუსაძლის სახლ-
საპყრობილეს,
ვერ ჩაითვლება მაღალ სიბრძნედ ყოვლის
მოთმენა.

მეტი რა შემრჩა, მთვარის ლოგინს გავშლი
ოცნებით,
აღარ მჭირდება ავგაროზი ნათილისმარი,
თუკი აქამდე ვერ ამალდა ჩემი ლოცვები,
თუკი აქამდე ვერ შევასწარ ცის გახსნას თვალი.

სიზიფეს ლოდი მერამდენედ უკან მბრუნებს,

ჩემი ილბალი ქვა-ლორღს მიაქვს დაბლა –
დაღმართზე,
ამაოდ ვდგავარ სასახლის წინ და ვაკაკუნებ,
ბედნიერება აღარ ცხოვრობს ძველ მისამართზე.

იქით მივდივარ, სადაც ხსოვნა აღარ აღამობს,
ქუჩის ბოლოში აღარც დღეა, აღარც საღამო.

ეს მერამდენედ ჩამორეკეს მწუხრის ზარებმა,
რა უღიმღამოდ ჩაილაღა სანათი ძველი.
ხანდახან ვფიქრობ, ყოველივე არის ზმანება,
ზღაპრის გმირი ვარ და უმთავრეს სასწაულს ველი.

ლაჟვარდის ნვეთი მივასხურე მხურვალე პეშვით
პირველ სიყვარულს, პირველ თრთოლას და
პირველ კდემას,
ო, ცისიერო, მომამეველე ციდან ნუგეში,
ბავშვობაც მოკვდა, დედაც მოკვდა, ზაფხულიც
კვდება..

მშფოთვარე ვნებებს შუალამით ვილაცა მაცლის,
რამდენჯერ გული სინანულის ცრემლმა დანამა
და აღარ მახსოვს, როგორ ვიქეც ცოცხალი კაცი
მოსიარულე სასაფლაოდ და ცივ აკლდამად.

რა უცნაურად მომიხურეს დღეებმა კარი,
ხსოვნის აკლდამას ამრიალებს ღამე და ქარი.

სხვა ხსნა არა ჩანს, მივესალმით ახალ აქტიორს
პოპმუსიკებით, ოვაციით, აპლოდისმენტით.
ის დრო ნავიდა, სერენადებს როცა ვისმენდით
ამინდის შეცვლას იუნყება ძველი რადიო.

ცოდვილ პლანეტას ნეტავ წაღმა რა დააბრუნებს,
ოდეს ვარდქმნილი შურს გადუხნავს კარი და ეზო,
მაცდური ჟამი დამდგარა და საასპარეზო,
საჯინიბოში ერეკება დრო ბედაურებს.

უფალს მზერა აქვს მახვილი და მრავალნაცადი,
ვერცხლის სუნი სდის ვერცხლოსანთა ახალ ქარტისა,
სულ სხვას მოუხსნამს გამლილ მხრებზე გრძელი
მანტია,
ბრძენად ცხადდება ამიერით შეურაცხადი.

სანუთრო ვისთვის ბალღამია, ვისთვის სტირია,
როცა ბრიყვები იცინიან, ბრძენნი სტირია.

ნუთისოფელი გაფრენილი უცხო მტრედია, –
ვკითხულობ ნიგნის სევდიან და მწუხარ ეპილოგს,
ბოლოს ტოვებენ ხომალდები ზღვას და
ზეფირონს
და ძველ ნავსადგურს არასოდეს უბრუნდებიან...
ვით რგოლს სანიშნოს, ვერ ვიცილებ ხელიდან
ბორკილს,
ვგუმანობ უკვე, რაც აღელვებს მარტოსულ
ლერნამს,
უჩინო ხელი ბაგეებზე სინანულს ძერწავს,
შემცბარი სახით ველოდები დუმლითან
ქორწილს.
პორტრეტი ჩემი მოასრულა უკვე ოსტატმა,
იერი – მკაცრი, სევდიანი, მზერა – მწყაზარი,
ბედს ვმორჩილდები, ვით დამცხრალი ელიაზარი,
ვიცი, დუმლი არ მოჰყვება გასროლილ
თათმანს...

ჩემი ბალის კარს ვერ მოაგნებს ოქროს
ფრინველი,
რადგან ზაფხული შემიცვალეს ზამთრის
გრიფელით.

შვილისადმი

...შენი ნებაა, გარდამოსენ ფარდები ბარემ,
გულს ნეტარება აგრძნობინე და სულს
სიცხოველე,
მაგრამ გახსოვდეს, იმპერიას ვერ ჩაიბარებ,
თუ გადანყვიტე, აპოლონის სახლში იცხოვრო...

შენი ნებაა, საით გადგამ ახლა ნაბიჯებს,
იქნებ, ზეცა გასურს, მწვერვალების ზენარ
იქროლო?
მაგრამ გახსოვდეს, ატამანად არვინ აგირჩევს,
თუ გადანყვიტე, აპოლონის სახლში იცხოვრო...

შენი ნებაა, რას მიაღწევ უფალს პატაკად,
ხორცი ატკბო თუ უცოდველი სული აცხოვრო,
მაგრამ გახსოვდეს, შეიქმნები ღარიბ-ღატაკად,
თუ გადანყვიტე, აპოლონის სახლში იცხოვრო.

რადგან აგრეა - აპოლონის სახლი აქ არი,
მეოცნებეთა და ღარიბთა თავშესაფარი...

აბსურდული სონეტი

დრო დაყილობს უბოდიშოდ ქუჩებში ფლიდი,
ფელეტონებით, ირონიით, მწარე პამფლეტით,
რა გაენყობა, დახლში დგას და წვრილმანებს
ყიდის

მავრიტანიის მფლობელი და პრინცი ჰამლეტი...
ბაზრის ლირიკას ჩაუნახლავს სუნთქვა ეპოსის,
დღე და საათი იზომება მოგებ-ნაგებით,
მწვანელით ვაჭრობს მონყენილი ოიდიპოსი,
ცერად უცქერენ ნითელქუდა ამხანაგები...
მიახრიგინებს ძველ ურიკას მტვირთავი აბო,
შეშლილი ღირი შორიახლოს ბუქნაობს
მორცხვად,

მისას არ იშლის, მეყასბეა ახლა იაგო
და დეზდემონას, ნაგვის გამტანს, უგზავნის
კოცნას.
არგონავტები ზღვის ნაპირთან ხუმრობენ
ბილწად,
კვლავ კონტრაბანდით მოსდგომიან კოლხეთის
მინას.

ბედნიერი ვარ, გული შენი თუკი გავათბე,
თუკი როგორღაც ცოტაოდენ მაინც გაგართე,
თავდავინყებით დროს და ნუთებს კენკავს
საათი,
ხვალ სხვა იქნება ჩემი სახლი და მისამართი.

დე, დადგეს ჟამი – ნათელ-ბინდის შუა
გამყოფი,
მადლიერება თან გამყვება ამ ცის, ამ ყოფის,
ბედნიერი ვარ, რომ უფალმა შენთან მამყოფა,
მეც მინილადე აკრძალული იმ ხის ნაყოფი.

ლოდინით იწვის შორიახლოს ცივი სავანე,
ლამის ლანდები შესევია მწვანე სავანას,
გზები გრძელია, მაგრამ სადღაც არის სამანი,
ერთხელ ხომ იყავ ჩემი ველის იასამანი!...

მეტი რა გითხრა, ეს სიცოცხლე ღირდა ამადაც,
საითაც უნდა მოისროლოს ეშმამ ქამანდა.

ცა ოცნებისა თითქოს ისევ ჩამოექანა,
ხელს გაიწვდი და უფლის ცრემლით პეშვებს
აივსებ.
ო, რა მარტივი, უფერული გახდა ქვეყანა,
სად გაქრა ძველი თავაზი და სიდარბაისლე.

ყველა ნავიდა – ღმერთისა და კაცის რჩეული,
ვინაც გადარჩა, დაეგება ისიც საფლავად,
და შემოდგომა ორსულივით ფეხარეული
სევდას გაგვატანს წყლის წისქვილზე
ჩამოსაფქვევად.

მიიზღაზნება ასპიტვიით ღვარძლის მდინარე,
ნაყვავილარი ჩაფერფლილა, ღვივის ნაცარი,
აჰა, ცხრა ციხე, ცხრა შურის მთა გადავიარე,
იქნებ, მეათე სათნობის იყოს ტაძარი.

ხომ ყველა ნატვრა ლაბასავით ამოიცოხნე,
ვერც რწმენა დათმე კურთხეული... და ვერც
სიცოცხლე.

►► მ-14 ბეგრადიდან

თათ დაძვრება მეზობელ სოფელში ვიდაცასთან და შეცდენას უპირებს, მაგას როგორ გამომაპარებს, მაგრამ ერთხელ კიდევ გიმეორებ: ისინი ჩიბუხას გამოგზავნილებია მთვარიდან და მათში ქალი არავითარ შემთხვევაში არ იქნება, ჯო?!

- მართალია მაგი, შალიკო, ქალი ეშმაკისაა!
- კვირო! მა, დარჩეული კომუნისტები მთვარიდან ეშმაკებია, აბა, ვინ დოზანებია რო, შიგადაშიგ ქალიც გამოერევათ, დარწმუნებული ვარ. - აუციმციმდა თვალები გიორგის.

- გაჩერდი, გიორგი, გაფრთხილებ! ერთხელ ხო მოიტყუე კისერი, როცა გაგაკულაკეს! იცოდე, ეხლაც არ შეეფეთო რამე უბედურებას, გამიფრთხილებიხარ!

- შალიკო! ეგება მართალია გიორგი, - რაცხა ისე ვატყოვ, ჩემი ცხოვრებისეული, ოჯახური გამოცდილებით, ქალი ისედაც მოშინაურებული ეშმაკი უნდა იყოს!

- ჯო?! მა თუ ეგრეა, კვირო, სამოთხიდან ჯოჯოხეთშია, მიღეთის ეშმაკი გაუყრია ამ მთავრობასა და ეგ არი?!

- მასეა, შალიკო! ნამდვილად მასეა! მეც მაგას არ ვჩივი? ე! ამდენი მოშინაურებული ეშმაკი რო გაუშვა აი მთავრობამ ოჯახებიდან შუკებშია?!

- ერთი ამას არ უყურებთ, ქა! რა დღეშია? ეს რა თქო, ქა! ქალები ოჯახებში მოშინაურებული ეშმაკებიანო! ადექი ეხლავე და წამოდი სახლში! ადე! ჩქარა! მოგაშინაურებ, როგორც საჭიროა! შე მეხდასაცემო, შენა!

- დაანებე თავი, მამიდა, კვიროსის! რა დროს ეგ არის. ერთი შეხედეთ, კაცო! ერთი შეხედეთ! ისევ გიორგი ჰყავთ ნიშნშია, თითქოს მაგის მეტი სულიერი არ ჰქაჩანებდეს დედამიწის ზურგზე?!

- რა ვიფიქრო, გივი, აღარ ვიცი, ძალიან დავიბენი! ამ ადამიანს, თუ უცხოპლანეტელს მთელი მსოფლიო სულგანაბული უყურებს, დააკვირდი! ერთ პატარა რამეს არ ტოვებენ, ყველაფერს აჩვენებენ. რა ყოფაცხვეისაა, რა ასულდგმულებს, როგორი მანერები აქვს, ჩაცმულობის როგორი გემოვნება და სტილი აქვს და რა ვიცი... ჩვენ კი აქ მესამეხარისხოვან რაღაცებზე ვყებდებით! ეს ეგრეთ წოდებული გიორგი კი მსოფლიოს ეპიცენტრშია! აზრზე მოდით, ხალხო, ეს რა ხდება! ლამისაა, გავაფრინო!

- მარტო ეხლა კი არა, მთელი დღეა, აფრენ. ხო, ხო, რას მიყურეფ, გაოცებული, რო! მაგრა აფრენ! ყველანი აფრენთ! - გიორგიმ თვალები დამცინავად მოპრუნა.

- ვერ უყურებთ, კაცო, სრულ ჭკუაზე რო არაა? მე ძალიან მეცოდება და თქვენი არ ვიცი! არც მიკვირს მაგის უცნაურობები, თავის თავს აღარ ეკუთვნის და რა ქნას?!

- მამა, მგონი, გიორგის სიგიჟეს აღარაფერი უკლია! ვერ ხედავთ, არაადეკვატური როა ყველაფერზე? - დაუსვა დიაგნოზი შაკომ.

ამათ, ჩემ ვაცებსაც კი არ შევადრი, ისინი უფრო ჭკვიანები და მოხერხებულები იყვნენ, მა!

- ეხლა კი მართლა მოუკრეფავში გადახვედი, გიორგი, ჯო?! - გააპროტესტა შალიკომ.

- შეურაცხყოფასაც რო გვაყენებს, კაცო! თუმცა, ეგ რა გასაკვირია, უცხოპლანეტელებმა აურიეს გონებ, სკლეროზი აჰკიდეს!

- მაგის წლოვანებისა რომ ვიყოთ და არ დაგავინყდეს, მალე ასს მიუკაკუნებს, ჩვენც სკლეროზი დაგვემართებოდა, გივი, ეს ხომ აქსიომაა. თან ისიც გაითვალისწინე, რომ ტელევიზიიდან ახდენენ მასზე ზეგავლენას არამიწიერი არსებები. - რაც შემეძლო შევარბილე გივის ხისტი ნათქვამი.


- ქვისლებო?! ხო ხართ ქვისლები! აბა, ერთი კარგად შემომხედეთ ორთავებმა! განა სკლეროზისა მეტყობა რამე, რო? სინამდვილე კი ის გახლავთ, რაც ზუსტად თქვენზეა ნათქვამი: ბედაური დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანო! ეგეც თქვენა, ვირისთავებო!

- გაქანებული სკლეროზი აქვს, აბა რა! თავისიანების გადაღებულსაც არაფრად აგდებს და ქარაგმებით გველაპარაკება რაღაც სისულელეებს!

- ყური დამიგდე, მუტრუკო! რაც მამაშენია, შენც ისეთი ხარ. სხვანაირად, ქარაგმულად კი ასე იტყვიან: რაც ალხანა, ის ჩალხანაო. იმას კი, რასაც ტელევიზორში აჩვენებენ ვითომდა ჩემიანები, შენი გადაღებულია, ჩოჩორო, და ეგ იონჯა მამაშენს, მის ქვისლსა და აქ მოგროვილ, გამოჩერჩეტებულ გრძელყურებიანებს დაუყარე, ვინძლო ყროყინით აუკლიათ ძირს დედამიწა და მალლა კიდენა მთვარე!

- ერთი ამას უყურეთ, კაცო! რას გვეუბნება, ჯო?! - ეჭვნარევი თვალი შეაპარა შაკოს ყურებს შალიკომ... ■

ორმოცდაათი წლის წინ, ახალგაზრდა პოეტმა რამდენიმე ლექსის გამოქვეყნება მოასწრო ცენტრალურ პრესაში. მალე, მიზეზთა და მიზეზთა გამო, სამშობლოდან გადაიხვეწა...
მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ ელირსა მშობლიური ცის ქვეშ დაბრუნება - ბედის ირონიით - უცნობ პოეტად.
დღეს, ასეთი მძიმე და ხანგრძლივი ანტრატის შემდეგ, ბატონ მურთაზ ნაკუდაშვილის ლექსებს კვლავ ელირსა მზის შუქი...
კეთილი იყოს, უკვე მხცოვანი პოეტის შემოსვლა ქართულ პოეზიაში.



მურთაზ ნაკუდაშვილი

დავიგვიანე

დავიგვიანე ... ბანარაო და ალაზანო, გამახსენდებით, თქვენს ატეხილ დინებას ვხედავ, დავიგვიანე, ბახტრიონო, ჩემო ალვანო, მოხუცო ქალო, წელში დარდით მოხრილო დედავ. დავიგვიანე, სიჭაბუკე ვავხარჯე სხვაგან. თუშო ასულო, მაგ ლეჩაქის სინმინდეს ვფიცავ, დავიგვიანე...
ვიცი, ახლა შენთვის სულ სხვა ვარ, გვერდს ჩამიარე, ყრმობავ ჩემო და ველარ მიცან. რამდენი წელი არ მენახეთ, თუშეთის მთებო. საჯიხვეებო, მინავ ჩემო, ვალში ვარ შენთან. ჩანჩქერო, კლდეზე ჩამოშლილო ქალღმერთის თმებო, ერთი უთქმელო სილამაზევ, დიდება შენდა! მუხლზე დაშვებით თაყვანსა ცეცმ წინაპრის სახელს, ქართულ ვახსა და საქართველოს ზღაპრულ განთიადს. ვუმღერებ მამულს, სანამ ვსუნთქავ და თვალებს ვახელ, სანამ ჩემი მზე საქართველოს ცაზე ანთია.
1975 წელი

როდემდე გზიდო, გოლგოფა და ჯავრო?

მამულს გვართმევენ, რწმენას გვინგრევენ, დღემდე სისხლით და ცრემლით მოტანილს. ჩვენ ერთმანეთის სისხლი ვიგემეთ, ამიტომ დავრჩით ასე ცოტანი. დიდ წინაპართა დანაპირები: მტერს არ ემონოთ! - თუ ვინმეს გახსოვთ?! უამი დგას ჩვენი გადაგვარების, ჩვენს გენში ახლა სხვა სული სახლობს ... როცა ერთად ვართ, ვართ უძღვევლი... როდემდე გზიდო, ბოლმავ და ჯავრო?! შეგვაძლებინე შეუძლებელი, გაგვიძებ, დიდო ლაშარის ჯვარო! დროა!..
გავტეხით ღამის უკუნე. გულში ავინთოთ იმედი ხვალის. ქვეყანა შევძრათ ზართა გუგუნით. დედაო ღვთისავ, გვიკურთხე ხმალი. დაძძვეთ, ვინც გინდათ ჰყავდეთ თავდები, ვინც გვილაღატა, თუმც გვეძმო გუშინ. ჩემო ლომებო, თქვენთან დავდგები, თქვენზე მლოცველი ბებერი თუმი.

ერისკაცები

ჭაბუა ამირეჯიბს, რეზო ამასუკელს გვედრებ, გვიცოცხლე წელი მრავალი, ღმერთო, ეს ორი ბებერი ლომი. კაცურად გავლეს დღემდე სავალი, დღემდე მრავალი მოიგეს ომი.
არ დაიჩოქეს, ზიდეს ულელი და მათ ტკივილებს სამშობლო ერქვა. ერისკაცები, მუხლდაუღლეონი, ვალმოხდილები საკუთარ ერთან. ბოროტ ზრახვებით, ზღვისგაღმელ პირთა, საქმენი ჩვენი, ველარ არჩიონ. მთებივით დგანან უფსკრულის პირას, გადაგვარებას გადაგვარჩინონ. ერს ანაცვლებენ ყველაფერს პირადს, წარსულს, მომავალს, ყრმობას, სიბერეს, რომ აღარ ვიდგეთ უფსკრულის პირას, იქ დადგებიან სიკვდილის მერეც.

თავზარსა სცემენ მტერს ფარისევებს. მამულს ჭრილობებს ლოცვით უხვევენ. თუ გაჭირდება, კვლავაც, ისევე. ქულზე კაცო! - დაიქუხებენ. გვედრებ, გვიცოცხლე წელი მრავალი, ღმერთო, ეს ორი ბებერი ლომი.

მოზომილი მაქვს მიწის ნაჭერი - იყავ, იცოცხლე, ხანი და თესე და ხნული სწორად თუ ვერ გავეჭერი, მომეცარება მარჯვენა მთესველს. როგორც ყველა სხვა, დედამიწაზე მე ჩემი ხვედრი სიცოცხლით ვცხოვრობ. ჩემი ვარსკვლავიც ანთია ცაზე, გულის ხვაშიადს მას ვანდობ მხოლოდ. მან იცის მხოლოდ, მე რაც მომელის, ამ ქვეყნად ჩემი ხვედრი რაც არი. სად დამაჩოქებს... ელვა რომელი? სად ჩამეშლება ძვალთა ნაცარი?!
1960 წელი

იქნებ შეხვედრა იყო გვიანი და სიყვარულშიც დამასწრო სხვამა. თრთოლვით ამაოდ ვკრიფე იანი, მიმიტანია შეცდომით სხვაგან... შენ დაგეძებდი, გიპოვე კადეც. მე ბევრი ღამე ფიქრში ვათიე, სხვაგან და სხვასთან (ო, მამატიე) დავლახე ქვეყნის განი და კიდე. ბევრჯერ საკუთარ გულს დავეჭიდე, ვიხეტივლე უდაბურ მთებში. მკერდზე თუნდ ასი ჭრილობა მჭირდეს, ვერ დამაჩოქებს სეტყვა და თქემი, ვერ შევეურიგდი, - სხვას ეკუთვნოდე, რომ შეგხვდი მგზავრი, მართლაც გვიანი. და მინც გიხმობ... გულს შენთან მოვდეგ, დავაგდე მთები ალაზნიანი.
1958 წელი

ჩემო თვალშურთხავ

ხმა იდუმალი მიხმობს... მოვდივარ!..
გნახავ, მოგაგნებ ქალავ, საითმე. თუ არ დამხვდები ჭალაის ბოლოს, გადავჩხრე ბალნარს, ტყეებ; შევძრავ წავარნებს, მაღალ ჭიუხებს, თან გავიყოლებ ფრთამალ არწივებს, კლდეებზე შურთხებს ვავეკიდები, ჩემი ფიქრი რომ ფრთებზე არწიეს. ვივლი ამ მთებზე ყვავილთ ამალით, შემეფარებენ მწყემსთა კარვები და თუ ვერ გნახავ, ჩემო თვალშურთხავ, მთებში ნისლივით ჩავიკარვები.
1957 წელი

შეამოლაგვა დაღესტნის პოეზია

ლეკური ნაბდით შემოდის ღამე. მიირწვიან ნისლები ხევში. სუნთქვა შეეკრათ პირლია ხრამებს. კლდეთა მკლავებში მდინარე ხვნეშის. სადღაც ჩანჩქერთა ჩამოჰკრეს თარებს. მდუმარე ქედებს, დუმილი ეცვათ. მთამ მოიქნია ფერმკრთალი მთვარე და ლავაშივით გააკრა ზეცას.
1959 წელი



მარი გვცელნიანი

მუსიკა

როდესაც ოქროც იქცევა ქვებად და ცოდვა კაცთა მოიმკის შედეგს, გარდავიცვლები, როგორც პლანეტა თავბრუდამხვევი ტრიალის შემდეგ... და, თუ უფალი დამაჯილდოებს ლაზარეს ბედით და განახლებით. მე დავბრუნდები, როგორც მუსიკა — გალობა ქართულ სიტყვის თანხლებით...

მშვენიერება

ნაზი სურნელი ვარდისფერის — ატმის ყვავილის — ჩამომიქროლებს სასწაულის უჩინარ გრძობას, რომ ცოტა ხანში დაზნექილი ტოტები ატმის ნამცეცა ყუნწზე, სიფრიფანა ყვავილის ყუნწზე დალაჟდაჟებულ,

ვეებერთელა ნაყოფს დაიყრდნობს. ვარდისფერ ნიავს უნატიფეს ატმის ყვავილის მოაქვს სიტკბო და მზით ნახატი ატმის ხავერდი და ეს წრებრუნვაც ნიშანია მშვენიერების, დიადი, როგორც ზეციური მუსიკა ვერდის...

დაბადება

მე, დათოვლილი ქართული სიტყვით, ისე შეგიგრძნობ, ვით გულისცემას. მეუფლები და განმაცდევინებ უბედნიერეს წუთების ცვენას... და ამ დროს სიტყვა იწრთობა ლექსად, მშვენიერება, ვით ალუბალი — რა ლამაზია ეს დაბადება, ლექსი მაჩუქე! — გამადლობთ, უფალო!

ციცინათელას საიდუმლო გამომხილე

ამ ზღვა პლანეტების დიდ კორიანტელში, ღმერთო, გადმოხედე ნამცეცა მლილებს, თავისი წილი უკუნეთის გამნათებლის — ციცინათელას საიდუმლო გამომხილე!

ალბათ

ოდესმე მაინც ხომ გავთენდები, მეყო ლოდინი ობლის კვერისა, უნდა გავუძლო ამ უკუნეთსაც და გუშინდელზე გამოკერებას... ალბათ, როდისმე გადავიქცევი საყვარელ წიგნის ფერად გვერდებად, მერე წამოვა სიტყვების სეტყვა და ყველა დარდი გაცამტვერდება, მერე უჩემოდ დარჩენილ ფიქრებს

ფრთებზე შეისვამს დიდი პურობა, ქვაზე გაცრეცილ გვარსა და სახელს დიდ ხანს მოუწევს მოგზაურობა!..

გზა განვლილი უკვე მრავალთა...

განსაცვიფრებლად ახლოვდება გამსუბუქება და ბუმბულივით მიმაქროლებს დღეთა ქარბუქი. გასავლელია გზა განვლილი უკვე მრავალთა, გვირაბის ბოლო და ღვთიური გამოწამოქეტი.

ვერ გამოვდექი მორბენალი დროის დარაჯად, ხან გავესწრებდი, ხან მივდევი და შევაბერდი, ჰოდა, გავიხდი ცოდვილ სხეულს, როგორც ფარაჯას, და დავაძინებ იასამნის ფესვების გვერდით.

ჩამოაშვება ფარდად ქუთუთო

ჩამოლამდება ზეცა უქულო, სანუთრო ერთ დღეს კიდევ მომპარავს, ჩამოეშვება ფარდად ქუთუთო და მთელ სამყაროს გადამიფარავს.

რა შესძლება ბუმბულის ბალიშს — გადამავიწყებს დღეთა ნვალებას, დროებით მაინც შევეფარები ნებაყოფლობით გარდაცვალებას.

მთაბის ტირილი იწყება წვეთით

ძირს გაიფინა თეთრი ფრთები და გამოინასკვა ხეზე ჭერამი. თოვლი დაიძრა დიდი მთებიდან და გული ადის ზეცის ჭერამში! მთების ტირილი იწყება წვეთით და წყალდიდობად ჩამოდინდება. ომგადახდილი დღე გაზაფხულის როგორ ნათდება, როგორ ბრწყინდება!

სამყარო ვისთვის იწყება ღმერთით, ვისთვის ნოეთი: — ჩემთვის პოეტით.

სულის სოსანი

ვარ მელექსე და არა მგოსანი, ამოუთქმელი ლექსი მანუხებს, სიტყვათ-ფერების ფრიადოსანი ვერ შეველიე რითმის მარნუხებს.

ცერზე შემდგარი, მუზა ფრთოსანი ჯადოსნურ აზრებს მსურველს აქ უმხელს, ქართული სიტყვა — სულის სოსანი მაგიურ მუხტით ლექსად მაქუხებს.

ვით განყვეტილი კრიალოსანი, გაიფანტება ხალხში ლექსები, ბევრგან შეაღწევს ჩემი ლოცვანი, მრავალთა გულში დავიფესვები.

● ჩემი სამშობლო, სულ ერთი ციდა, ვაჟას შვლის ნუკრის ნატერფალია, მე სხვა სამშობლო არ მაქვს, არც მინდა, თბილისი ჩემი ნატერისთვალაია.

მრწამსი

სივრცის იმ ნაწილს, იმ ფერთა გამას, იმ მთებს, იმ მინდვრებს, დეკას და ღვიას, სადაც ცხოვრობდნენ დედა და მამა, შვილის თვალებით სამშობლო ჰქვია...

მერე თვით ხდება დედა ან მამა... შვილებს აჩვენებს მშობლების საფლავს, მიწას, რომელსაც ცრემლებით ნამავს, მერე, სულ მერე, მამულად ნათლავს.

● სამშობლო არის ერთადერთი ნავსაყუდელი, რომლის წინაშეც დაბადებით ვარ ვალდებული.

დედის ხსოვნას

სათნოების ეტალონი მიილია ჩემი დედა. უცებ დაეჩიავდი ლომი, სულით, ხორციით ვიქმენ მჭლედა.

მე რომ თავი კარგად მეგრძნო, ჩემს დარდს მხარზე გაიდებდა... უიმისოდ ან რა შევძლო, ვის შევჩვილო — ვაი, დედა.

ძლიერ, ძლიერ მენატრება, ცრემლს ვაყოლებ მწარე ტკივილს. მუდამ, როცა მახსენდება, გული კვნესის, სული კივის.

● შვილები მამულს რომ აღუზარდო, თვით უნდა გქონდეს სული უზადო.
● თუკი ახარე მუხად ხე ნორჩი, ნიშნავს, ქვეყანას ერთ ხანს შემორჩი.

ჩემი ელეგი

მინის, მზისა და სივრცის ნაწილი, კამკამა ზეცით შემოგმანული, მინაზე ლომი, ცაში არნივი, ჩემი სამშობლო — დედულ-მამული.

ერი, ძირძველი, თავისთავადი, ხალხი უფლისგან მირონცხებული, კაცი ტანადი, ქალი თვალადი, მასპინძლის როლით აღტაცებული.

ჩვენი ანბანი და რუსთაველი, გენიალური, თანაც მარტივი, მინის ბარაქა, ზღვა და მთა-ველი, სტუმარს იზიდავს ანდამატივით.

ცეკვა, სიმღერა, ადათ-წესები, დედის კულტი და ქალის მანდილი,

იური აზნიანიძე

სულს გადანული ვაზის ფესვები, სამყაროს არსში წვდომის ნადილი.

ბუნებით ყველა თავაზიანი, სუსტის ქომაგი, მიმტევებელი... ქართველებიც ბედის ზიარი, ასეთი გახლავთ ჩემი ედემი.

მელაა ჯაფარიძის ხსოვნას

ჩვენი თაობის ემხი და კრძალვა, სცენის და კინოს ზურმუხტის თვალი, ჰაეროვანი, სუფთა და ალვა, გა ნ ს ა ც ვ ი ფ რ ე ბ ლ ა დ ლამაზი ქალი.

ბილიკს აუყვამიმივალს ცაში, მინაზე ტოვა ნათელი კვალი, ჩვენ გავაცვილეთ ცრემლით და ტაშით გა ნ ს ა ც ვ ი ფ რ ე ბ ლ ა დ ლამაზი ქალი.

წავიდა ჩვენგან, — რა ძნელად ითქმის, სულმა გაკვეთა ციური რკალი, მოგვენატრება სპეტაკი ფიფქი, გა ნ ს ა ც ვ ი ფ რ ე ბ ლ ა დ ლამაზი ქალი.

სამშობლო

სიცოცხლე იმად მებოძა, უმნიკვლოდ რომ გემსახურო, ჭირში შეგიდგე მძლე ბოძად უღრუბლო ზეცა დაგხურო.

სიკვდილი მომდევს ძუნძულით, ჟამს ელოდება თარსიანს. შენ ხარ იმედის კუნძული, შენთვის სიკვდილსაც ფასი აქვს.

● შიშს დიდი თვალები აქვსო და... მაინც ცუდად ხედავს.

კაგაბეძე



დათა გულუა

იდუმალი რეალობა

მე არ ვიცი, პირად ცხოვრებაში როგორი იყო დათა გულუა, მაგრამ მისი ტრაგიკული ხვედრის შემდეგ გავიგე, მივხვდი, ვიგრძენი, თუ რა გრიგალები ტრიალებდა ახალგაზრდა პოეტის სულში. მას, 18 წლის მზებუბუს, თავისი მხრებით მოჰქონდა წელიწადის ოთხი დრო, ჟამის ოთხი ფერი, ცისა და მიწის განუმეორებელი რეჟივით.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ჩემი მეგობრის სახლში იზრდებოდა ასეთი ნიჭის ყმაწვილი. ჩვენ, სამწუხაროდ, მიჩვეული ვართ ერთფეროვნებას, ერთსახოვნებას და როცა ხრიოკსა და ხვატში ამოხეთქავს წყაროს წყალი, გვიხარია.

ჩემთვის დათა გულუა ადრე დაბრძენებული ჭაბუკია. ის ტიცინი ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ნიკო სამადაშვილის პირდაპირი მემკვიდრეა. ის თავისი კოლხი წინაპარებით საკუთარი ხვედრის, საკუთარი ბედისწერის წინასწარმეტყველია, თითქმის ყველა ლექსში იკითხება ეს წინათგრძნობა, ეს იდუმალი რეალობა.

ათი წლის წინათ საქართველოს დაელუპა დიდი მომავლის პოეტი.

ათი წლის წინათ ბებერი ნარიყალას კედლებთან გაიჭრა მისი სამარე.

ათი წლის წინათ ის გავიდა „პირდაპირი ბილიკით, სულის სრულყოფილებისაკენ“.

ღმერთო მაღალ, ნათელში ამყოფე, ან და მარადის ქართული პოეზიის უფლისწულის დათა გულუას ზვიადი სული.

გენო კალანდია

რამქვიანი

მე გუშინ ისევ დავეკიდე ოთახის ქალებს, ეს სიკვდილია, მახსენებდა ოდნავი რხევა. სარკის მინაზე აორთქლებულს ვუმზერდი სახეს, ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა!

ჩვენს ქვიშის საათს ამოუშრა მუცელი ლუნი და ჟამი – ხვლიკი – გადაიქცა მარადისობად. მთვარეს მოუკვდა მზის შობისას თენება უნინ და ალიონი ჰორიზონტზე ფრენას შიშობდა.

ოცი ავაზა აფრენილი მოჰყვება კუბოს, დღე ფარშევანგის ბუმბულივით ამიპრიალდა, მაშ, ბოლო ვალსი, ბოლო ალტის სიმები უხმო? თუ, მეუფეო, ვეერესტზე დამაგვიანდა?!

ბაირალები – სისხლისფერი თქვენი კალთები, ამ მოკვეთილი ბაგეებით რომ მიკოცნია, მე ვიცინოდი? ეს ცრუობდნენ ჩემი ნაკვთები, ნუთუ, ერთხელაც ჩემს სახელზე არ გილოციათ?

და თუ ასეა, მოილოცეთ ბოლოჯერ სული, ჰიმალაებზე რომ მიანდო სხეული ხრამებს. მაგრამ ცეცხლივით მზის ბუდეში შხიოდა გული და კვლავ ლესავდა საბოგინოდ ღრუბელი ქარებს.

როცა გეძინათ სასთუმალზე სიზმრის ბელღებში, მე მაშინ ვწერდი „ევასა“ და „ადამს“, „ზარების დონებს“,

ვიღაც ბაყაყი რომ ყნაოდა ნუხელ ღელეში, ოქროს გვირგვინით დღეს მიგათრევთ, ვით მორჩილ მონებს.

და ის საფანტი, ჩემს გულზე რომ მოსულა ნუშად, იყო გარდასვლა შემოდგომის თეთრი ღამესი, დაღწილი მაქვს თვალის ჭრილში საცქერი შუშა და, სიყვარულო, შენ ყოფილხარ ჩემი დანტესი.

ღმერთო ძლიერო, არ ვყოფილვარ მე ბასტილია, არც მეგობრობა არ ყოფილა ჩემი ღალატი. მოდით, დამხედეთ, ეს მაჯები გადახსნილია, თბილი „კინჟალით“ განვისვენებ, როგორც მარატი. ამ რეჟივებზე იზეიმებს, ალბათ, სიკვდილი და ეს იქნება ნელი ვარდნა, კვლავ ნამიერი. არ გამაგონოთ პარტიტურა ბოლო ტირილის, თქვენში უჩუმრად ცოცხალია ჰერ სალიერი.

მოდით, დამხედეთ, გარდაცვლილმა როგორ ვიბრძოლე, ნუ შეგაშინებთ თალხისფერი ჩემი სხეულის. მე არ მოვმკვდარვარ, არ მოვმკვდარვარ, მხოლოდ ვიცოცხლე, ამაოებით არ მივსია სულის რვეული.

ერთი ლეგატო, მაესტრო ნამის, ერთიც დამითმე ხნიერი ნოტი, ერთიც ვიცეკვოთ უიზელი ღამის, შენ, შემოდგომავ, ვიცეკვოთ, მოდი!

და მე დამკრძალებს შაბათის დილას, მზის ნიჟარიდან დღე მოძვრებოდა და იქვე, ხესთან ეძინა მოცარტს, გაიღვიძეო? – მეკითხებოდა.

ჩემს გვერდზე უკვე არავინ იდგა, მხოლოდ ნაღველი მითობდა მუხლებს. აქ ტიცინიანი მომიჯდა დინჯად და მაჩვენებდა უფეხო ღრუბელს.

კვლავ აფრენილა ავაზა ოცი, ფრინავენ არსად. ლამპიონები წყვდიადისაკენ ილტვიან ჯარით. მე გავიღვიძებ, გაბრდები, დედა, აუცილებლად, ღია დატოვე ჩემი სარკმლის მტვრიანი კარი.

მე ნუხელ მოველ ვერცხლის წვიმად, მე მოველ თოვლით, თქვენ ისევ ყოფის ბორბლებს დასდევთ ლურჯ ბილიკებზე. კვლავ დაგავინყდათ moderato, ტკივილი შორი, ისევ allegro თქვენს სისხლშია და თქვენს ღმილზე.

სარკის მინაზე აორთქლებულს ვუმზერდი სახეს, ჩემს პროცესიას, მეგობრებო, მოჰყევით ნელა, მე გუშინ ისევ დავეკიდე ოთახის ქალებს, შენ გაცოცხლდები, მახსენებდა ოდნავი რხევა.

25.09.2003.

ცრემლის ორდენი

წვიმა მოვარდა, ბინდი მოყარა, სარკეების ვზას დააფინა გუბენი. ახალუხებში მოდიოდა ნისლის მაყარი, პეიზაჟს ხატავს ციდან რუბენსი.

ქარი გააპეს სილუეტებმა, ნამით შეჩერდა ფოთოლთა ვალსი და ილუზიის ჭრელმა ეტლებმა ჩამოგსვეს ჩემთან, გატეხეს ნავსი.

მარგალიტები მკერდს ჩამოგშლია, სხეული გიგავს ზამთრის სასახლეს, თეთრი ღამისთვის რომ უყვია, თვით ნევის პირას კოლონადებით, იდუმალებით, მეფის სამარეს.

● თვალები გლეჯდნენ ჩვენს სიშორეებს, ნიღაბი დნება ნაზად სახეზე, ეს შენ არა ხარ – მე ვიმეორებ, ვუმტკიცებ ლანდებს ჩემს ძველ სარკეზე,

შენი სახების ნაზი ლულები ახლა არა და ახლა მესვრიან, გულს ჩატეხილან ისევ წყლულები, მე სიყვარულის ვიყავ მესია,

გახსოვდეს, ლექსად როცა ვიფრქვევი, შენი მომწყურდა კოინდარები, შენი სუნთქვით მაქვს სავეს ფილტვები, გულის ძაფებით კვლავ ვიქარგები.

ჯილდო არ არის ჩემი ამბორი, არც ჩემი ლექსი არის შედეგერი, კლდეებზე მომკლეს, ვით ნიამორი, იყუჩეთ, მგლებო, სისხლო, შედედდი!

ქალი, რომელმაც მზე მოიპარა, იყავი შენ და გულს ჩაინურე, მაგრამ რა მოკლე აღმოჩნდა შარა და მოგონება გადაიხურე.

მკლავს მიჭედელი მაქვს შენი ცრემლი და სკულპტურა ხარ თითქოს როდენის, შენთვის ვგონებდი, ვიყავი გრდემლი და შენი ფიცის შემრჩა ორდენი

და ირმეებით ხტოდნენ ფიქრები, საფერავივით ტკბილი ტურები სულს მიკოცნიან, მე ლექსით ვთვრები, იფანტებიან დრონი, ტურები,

ათროთლებულა ღამე ბინდისფრად, სიზმრად გიხსენებ, დაგედვენები, ვერ დაილუქა ჩემი ჭიშკარი, მახსოვს ფაქიზი ხელის მტევენები,

გზად დაიღვარა ეს ნაოჭები, მოგონებათა მტვრიან ალბომზე, ჩემთან მორბიან შენი ლოცვები, ჩემი სიკვდილის ბოლო ალღუმზე.

გადაიფარა სულმა დურადი და გაზაფხულმა დაგვიგლო კუდი, სიშორეებში მიქრის ულაყი და სიყვარულის ფლოქვი აქვს ფშუტის.

მკლავს მიჭედელი მაქვს შენი ოხვრა, თითქოს თლილი ხარ, თვითონ როდენის, მე სისპეტაკით ვარ დათოვლილი, ქალის ცრემლის მაქვს მხარზე ორდენი.

20.02.2003.

იუკიო მისიმა ჟან ჟენეზე

ჟენესთან უხამსობა კეთილშობილესთან არის შეთავსებული, სიმდაბლე – ამალღებასთან. უცნობი მამის შვილი, ადრეულ ასაკში დედის მიერ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში მიგდებული ეს ობოლი კაცი, რომლის ცხოვრებამაც გამოსასწორებელი სახლებში, ციხეებსა და ჯურღმულეებში გაიარა, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მისტიკოსი გახდა. ჟენეს სახე, მარად ახალგაზრდა, მსგავსი ანგელოზისა, ცხოველური სისასტიკის ბეჭდით არის დაღდასმული. აი, როგორ აღწერს სვედენბორგი ანგელოზებს: „ანგელოზთა წყვილი ცაში – ეს ანგელოზთა კავშირი კი არა, თითქოს ერთი ანგელოზია“. „ზეცაში ანგელოზების ქცევა მხოლოდ მათ ურთიერთობებზეა დამოკიდებული“. „ანგელოზის სახე მუდამ აღმოსავლეთისკენ არის მიმართული“.

ეს მართლაც ასეა. ჟენესთან პართენონებზე ხდება. ბუნებასთან გამუდმებული ურთიერთობისას ჟენე თავის ქმედებებს ხორცს ასხამს წმინდა სამების – ქურდობის, ჰომოსექსუალიზმის და გამცემლობის სახელით. და მისი სახე მუდამ ნათლისკენ არის მიმართული.

გასაოცარია, რომ უმძიმეს პირობებში მყოფი ჟენე გამოხატვის ყველაზე ამალღებულ ფორმებს აღწევს. იაპონური ავტობიოგრაფიული რომანი, უკიდურესი დამცირების აღწერისასაც კი, ადამიანურ ღირსებებს საგანგებოდ უსვამს ხაზს. ეს განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ტრადიციონალისტებთან, რომლებმაც მეცხრამეტე საუკუნის რომანტიზმს დაუდეს სათავე. მაგრამ კულტურის ნამდვილი ძლიერება იმ მხარეებში შედგენის შესაძლებლობაში ვლინდება, რომლის გამოხატვაც შეუძლებლად მიაჩნიათ. ნებისმიერი მონიფული კულტურა გონების უსიცოცხლო აჩრდილებს წარმოშობს, მაგრამ იგი ველურ ცხოველებსაც კვებავს. თანამედროვე ევროპამ ორი ასეთი ურჩხული მოგვცა: ერთი ნაჟინსკია, ველურობის გამოხატვა ველურობით; მეორე – ჟენე, ბოროტების გამოხატვა ბოროტებით. სარტრი მართალი იყო, როცა ამბობდა – ჟენე უბრალოდ კი არ წერს ბოროტებაზე, იგი ხორცს ასხამს ამ ბოროტებასო.

ჟენეს არანაირი განათლება არ მიუღია, მაგრამ რაღაც ამოუცნობი ძალით მის „ქურდის ჩანაწერებში“ ვაწყდებით ევროპული პიკარესკული რომანის გამოცხადებას, ბუნების წარმართულ ალქიმის ლორენსის „აპოკალიპსის“ სულისკვეთებით, ფრანგულ მორალისტურ ტრადიციებს, ნიჰილიზმსა და ამბოხს რაზეც კამიუ წერს თავის „მეტაფიზიკურ ჯანყში“ – ასევე, პასკალის აჩრდილს და აჩრდილს ბოდლერისას.

ციხე, სადაც ჟან ჟენე სასჯელს იხდოდა, ის ადგილი როდი იყო, რწმენისთვის უბინო ნამებულები რომ იკრიბებოდნენ. მსგავსად იმ ადამიანისა, რომელსაც მუსიკისკენ აქვს მისწრაფება და მუსიკოსი ხდება, ჟენესაც ციხისადმი ჰქონდა მიდრეკილება და პატიმარი გახდა. ზოგს შეიძლება ჟენე მეტისმეტად ჩაკეტილი

მოეჩვენოს. მისი ლექსიკა საკმაოდ ბნელია. თავის დროზე ბალზაკმა ქურდული ჟარგონის დიდი ცოდნა გამოამჟღავნა, მაგრამ, როცა „კურტიზანი ქალების ბრწყინვალეობა და სიღარიბის“ მეოთხე თავში მასალად გამოიყენა, ოსტატურად დაამახინჯა და მიმდინარე ის შექმნა, რასაც პირობითად ობიექტური ჟარგონი შეიძლება ვუნდოდოთ. ჟენე იყო პირველი, ვინც დაწერა რომანი სუბიექტური ჟარგონის გამოყენებით.

ჟენეს განკვეთა და დაცემა, გარკვეულწილად, პირველი ამგვარი ექსპერიმენტი იყო, რომლისთვისაც რაიმე ცნობილი ანალოგის პოვნა ძნელია. ამიტომ ხომ არ თქვა უარი საყოველთაოდ მიღებულ ლექსიკაზე და იმ სიტყვათა მარაგს მიმართა, რომელსაც ცხოვრებაში იყენებდა. ამგვარად მიაღწია გასაოცარ მხატვრულ გამომსახველობას.

ადამიანისთვის, რომელიც ამ სრულიად განსაზღვრულ სიტუაციაში მოხვდა? ხომ არ იყო იგი ნაკარნახევი ამ გარემოდან დასხლტომის მისწრაფებით? თუ, პირიქით, უნდოდა, რაც შეიძლება ღრმად ჩაფლულიყო მასში?

ჟენე პოეზიას ასე განსაზღვრავს: „სიტყვა „ქურდი“ იმას აღნიშნავს, ვისი ძირითადი საქმიანობაც ქურდობაა. ქურდობა ქურდის განმსაზღვრელია, ამასთან, იმ მომენტს ასახავს, რომ მას ასე ეძახის ყველა, ვინც ქურდი არ არის. თანაც სიტყვა ქურდობა როგორღაც აუბრალოებს სიტყვა ქურდს. პოეზია კი გვეხმარება, უკიდურესად ნათლად შევიმეცნოთ თავი ქურდად. როცა ყველა სხვა თვისების შეცნობა ასეთივე განმსაზღვ-



მისიმა

წმინდანი ქურდი

ჟენე შეპყრობილი იყო გამუდმებული სურვილით, განედიდებინა ადამიანის დაცემა, რომელიც თვითონვე განიცადა; თავის მისწრაფებაში გამოიყენებინა ის შესაძლებლობა, რასაც სიტყვის ხელოვნება და ლიტერატურული საქმიანობა აძლევდა. იგი უფრო პოეტად წარმოგვიდგება, ვიდრე პროზაიკოსად. ჟენე პატიმართა უბედურეკ არშიაშიც კი დამცირების ნათელ გამოხატულებას ხედავდა, რის დახმავასაც, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ. და სწორედ ადამიანების ამ უკიდურესმა დამცირებამ გააღწია სურვილი მათი განდიდებისა. არმანს, ამ მძლავრ გიგანტს, რომლის ფიზიკური გარეგნობაც „კატორღასთან ასოცირდება და, რომელიც მისი ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი მგონია“, არ ძალუძს მშვიდად გაიხსენოს დრო, როცა თავისი მოუქნელი ხელებით ქაღალდის არშიებს აკეთებდა. „მხოლოდ სრული იდიოტი იფიქრებს, რომ შეუძლია ყველაფრის გაკეთება ისწავლოს“. როცა ჟენემ საპატიმრო სახლში ნახა, როგორ თხზავდნენ ამ კედლებში გამომწყვდეული ადამიანები სათუთ და გულუბრყვილო ლექსებს სიყვარულზე, სხვა ტუსადღებს რომ ალაფროთვანებდა, პირველად აღეძრა სურვილი, თვით მათთვის შეესხა ხობტა. სწორედ მაშინ დაწერა „სიკვდილისჯილი“. მაგრამ პატიმრებმა პოემა ვერ გაიგეს და ავტორი გააფთრებული თავდასხმის ობიექტი გახდა. როგორც არ უნდა შეფასდეს ეს ფაქტი – მოულოდნელობად თუ კანონზომიერად – საბოლოოდ, ალბათ, ერთიც არის და მეორეც.

ბუნებრივია, ასეთი ვნებით დაწერილი ლექსები, თანაც ჟარგონით, ობივატელისთვის გაუგებარია, მაგრამ საიდან მოდის პატიმართა მიუხევედრელობა? მაშინ ჟენე სრულ სიმარტოვეში აღმოჩნდა, ასე ნაკლებად რომ ჰგავდა „ხელოვანის ჩვეულ მარტოობას“. მაშ, რაღას ნიშნავს შემოქმედებითი თვითგამოხატვის აქტი

რელი ხარისხით ხდება თქვენთვის, მაშინ ისიც პოეზიად იქცევა“.

ბოდლერის კვალდაკვალ, XX საუკუნეში, მალროც ისწრაფვოდა, რომანტებში ადამიანის ისეთი ტიპი წარმოეჩინა, რომელსაც ერთდროულად მოქმედებაც შეუძლია და თვითგამოხატვაც; რომელსაც ასამართლებენ და, ამავე დროს, თავადვე მოსამართლე და რომელსაც, მომავალში სიკვდილისჯილი, თვითონვე მოჰყავს განაწენი სისრულეში. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა თანამედროვე მწერლობის წინაშე მდგარ ამოცანათა შორის.

აი, რას წერს ჟენე იმ გრძობაზე, მან რომ განიცადა, როცა სამ ამხანაგთან ერთად მიდიოდა: „მე მათი ფიქრიანი ცნობიერება ვიყავი“.

გამოთქმა თუმცა ირონიულია, მაგრამ ძალიან დახვეწილი. ჟენეს შემოქმედებითი ნეილი, დაწყებული მისი გაუგებარი ლიტერატურული დებიუტიდან – „სიკვდილისჯილიდან“ დღემდე, როცა იგი საყოველთაოდ აღიარებული მწერალია, ისიც არის, რომ იგი მუდამ ისწრაფვოდა, „ხელოვნება ხელოვნებით“ გადაელახა და, ამასთან, არ დაეკარგა მისთვის და მხასიათებელი ეროტიზმი. იგი თითქოს გვიჩვენებს, რომ მას შემდეგ, რაც ამალღებულს დაიმორჩილებს, მისაღწევი ერთილა რჩება – წმინდანობა. ჟენეს აზრით, წმინდანობა ისეთი ერთობაა ღმერთთან, როცა ის, ვინც ასამართლებს და ის, ვისაც ასამართლებენ, ერთიანია, თუმცა ადამიანური „მე“ ეწინააღმდეგება ასეთ ერთიანობას.

რაც შეეხება ჟენეს, მას ეს გამოუვიდა – იგი წმინდა ჟენე გახდა. რასაც ვერ ვიტყვით მის ნაწარმოებებზე.

როცა ბოდლერმა სიკვდილისჯილისა და ჯალათის როლში (ერთდროულად) საკუთარი თავი დაინახა, თითქოს წინასწარ იგრძნო რელატივიზმის² ის ჯოჯოხეთი, რომელშიც ახლა ჩაიძირა შემოქმედება. მან წინასწარ განჭვრიტა ის პარადოქსული ეპოქა, როცა შემოქმედებითი თვითგამოხატვა თვითმკვლელობის ტოლფასი ხდება.

ჟენეს ჰომოსექსუალიზმი სიმბოლურია. „ქურდის ჩანაწერებში“ მის მიერ აღწერილი ლტოლვა თითქოს სულიერსა და ფიზიკურს შორის მერყეობს. მსგავსი ლტოლვა ყველას ახასიათებს. ეს არის რაღაც საერთო, რაც არ ექვემდებარება სქესთა მიზიდულობას. სვედენბორგის „ანგელოზთა ქორწილში“ კავშირი ერთ სხეულში ხორციელდება. ჟენეს შეერთება თავის მიჯნურებთან ნაწილობრივ ამ ანგელოზთა ქორწილს გვახსენებს. სტილიტანოს ფიზიკური ნაკვებები სინამდვილეში მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფია და არავითარი სტილიტანო არ

არსებობს. აქ სულიერი წარმოშობს ფიზიკურს, შემთხვევით დაკონკრეტდება ეროტიკული სურვილის ფორმაში, რასაც ორმაგ ეფექტამდე მიყვავართ: ერთი მხრივ, მოჩვენებებთან შერწყმასთან, მეორე მხრივ კი – ამ მოჩვენებების ხორცშესხმასთან, რომლებიც ერთმანეთს არასდროს ხვდებიან და რაღაც ურყევ მეტაფიზიკურ კავშირს წარმოადგენენ.

ამ კავშირის გარეშე სამყარო მოკლებულია საფუძველს. რომანის დასასრულს ჟენე იმ სიყვარულს აღწერს, ქურდსა და პოლიციის ოფიცერს რომ აკავშირებს. უკეთესად ჯერ არსად უჩვენებიათ არსებული საზოგადოების ღირებულებათა მერყეობა, ვიდრე იმ სიტუაციაშია, როცა კარმენი ორ მამაკაცს შორის იმყოფება. ჟენე თავის მიჯნურ პოლიციელს მიმართავს:


„ჩემი დაპატიმრება რომ გიბრძანონ, დამაპატიმრებ?“ – ვკითხე ბერნარს.

ათ ნამზე მეტ ხანს არ უფიქრია. წარბი შეყარა და მიპასუხა: „ისე მოვანებდი, რომ ეს მე არ გამეკეთებინა, ამხანაგს ვთხოვდი“.

მის მიმართ ზიზღი არ მიგრძვნია, მსგავსმა სიმდაბლემ მხოლოდ გააძლიერა ჩემი სიყვარული“.

ამ ეპიზოდში სულიერი მდგომარეობის ის არის მუღავნდება, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით; ამ სიტუაციით განისაზღვრება ადამიანის სწრაფვა თვითგამოხატვისკენ, რომლის შესახებაც ჟენე „ქურდის ჩანაწერებში“ ამბობს, რომ ის არის „საკუთარი აბსოლუტური უმაქნისობის გაცნობიერების შედეგი“. როგორ ასე ხდება ჟენე, ამ სამყაროში ყველასა და ყველაფრის შეფარდობითობის ჯოჯოხეთური არსი ასე ზუსტად აჩვენოს? მისი შემოქმედებითი მეთოდი ეროტიზმის ლოგიკას ემორჩილება. პოლიციელსა და ქურდს შორის ურთიერთობა საკმაოდ ირაციონალურია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჟენე თითქმის მთლიანად აიგივებს საკუთარ თავს დამნაშავესთან, და მისი ეროტიკული სწრაფვა იმდენად მიუწვდომელია გონებისთვის, რომ მეორე მხრიდან რაიმე სახის გამცემლობის შესაძლებლობასაც კი გამორიცხავს. მსგავსი გამცემლობის შეუძლებლობა და მიუწვდომლობა თვით ეროტიზმის არსებობის აუცილებელი პირობებია. ამას განასახიერებს სტილიტანოს ყურძნის მტევანი.

წარმოშობების ფაბულის რაციონალური აგების სტილით ჟენე XVIII საუკუნის მწერლებს გვაგონებს. პირველი მოულოდნელობა ამ მათემატიკური სიზუსტით შემონმებულ სამყაროში ის მომენტია, როცა სტილიტანოს მომზიდველობა გაიფანტება, და სწორედ ამ აღმოჩენას განიხილავს ჟენე, როგორც გონების გამოღვიძებას. „ასე მგონია, რკინის მავთულზე დავინყებულნი თეთრეულის სამაგრის განყენებულად განხილვისას უცბად კვლავ განვიცადე საკუთარი გონების სრული გამოღვიძების წამი. ამ პატარა, ჩვეულებრივი საგნის სილამაზე და უჩვეულობა მთელი სისრულით წარმომიდგა, მაგრამ სიმშვიდე შევინარჩუნე“. მეტამორფოზა, სტილიტანომ რომ განიცადა, თეთრეულის სამაგრების ქვრე-



ჟენე

ტას ენათესავება: „როცა მოგვიანებით (ცხადია, ისევ მემასსოვრება ის ძლიერი დედა, იმ მშვენიერი ჭაბუკის ხილვამ რომ გამოიწვია ჩემში) იგივე განდგომილებითა და სიმშვიდით შევხედავ მას, როცა შევძლებ, ბოლომდე შევიმეცნო ჩემი სიყვარული და ამ ცოდნაზე დაყრდნობით ავაშენებ ჩემს ურთიერთობას სამყაროსთან – აი, მაშინ გაიღვიძებს ჩემი გონება“.

სიყვარულისა და გონების სიცხადის ჰარმონიული შეთავსება მხოლოდ ხელოვნებაშია შესაძლებელი. ამიტომ შენეს თანმიმდევრული მატერიალიზმი უნებურად იქცევა თავისებურ მისტიკად. ბუნების მისეული აღწერა (აბსოლუტურად არ ჰგავს იმას, რასაც შეიძლება პრუსტთან შევხედეთ) მეტოქეობას უწევს XX საუკუნის საუკეთესო ლიტერატურულ მიღწევებს: მზე, კადისში კაშხალის კლდეებს უკან ამოშავალი; მარტორქა, სადღაც ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის საზღვარზე, ხორბლის თვალუნვედნელ მინდვრებში რომ ბალახობს – შენეს ეს მხატვრული ტილოები პირველქმნილ წარმართულ სამყაროში გვაბრუნებს.

იმპერატორ ადრიანეს მსგავსად, რომელიც „წელიწადის დროთა ცვლასა და კლიმატურ პირობებს ვერ ამჩნევდა, თავისი მშვენიერი მიუძღოდა თავის ჯარებს კალედონიის თოვლში თუ ზემო ეგვიპტის უდაბნოებში“, სადაც კი გამოჩნდება ეს პილიგრიმი, ყველგან თავის სურათებს გვიტოვებს: მოცურავის თვალთ დანახულ ზღვას, ქვიშიან ველს, რომელთაც იგი, მინაზე გართმული, ბალახის ბლუჯებს შორის ჭვრეტს; სამყარო მთლიანად რომ შეცვალო, საკმარისია მინის დონიდან შეხედო მას და მაშინ ხვდება, რომ საზღვრებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს უკვე კარგა ხანია ევროპის ყველა ქურდმა შეამჩნია. ამ კუთხით დანახული სამყაროს უსაზღვროება არაფერს შეედრება.

შენე ყველგან ტოვებს თავის ქმნილებებს: საყვარელი ჭაბუკების შიშველ სტატუეტებს; ქალაქს, რომელიც მხოლოდ ზღვისგან შედგება; კლდეებს, ტყეებს, ხოდაბუნებს და ქვათა გროვებს; ქალაქს, დანახულს შენეს წარმოსახვისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობით – ქვევიდან, დედამინის დონიდან.

მეტამორფოზა შეუჩერებლად მიმდინარეობს მსგავსად იმისა, დაჭრილი ჯარისკაცის სისხლიდან ოდესმე ალუბლის ხეები რომ აღმოცენდება. ადამიანის ფიზიკური არსებობა ნაწილია პანთეისტური ბუნებისა.

ჩვენი დრო მაღალფარდოვნებით გაუცხოვდა. შენემ კი პათეტიკური სტილი ააღორძინა მისი პირველქმნილი სახით: პათოსი და ამალელებული გრძობა მასთან ყოვლისშთანთქმელი ვნების ფორმას იღებს, რასაც თავის დროზე ამდენი დრო მონადომეს ბალზაკმა და სტენდალმა. და ისევე, როგორც არისტოტელესთან, შენესთანაც პათოსი უცვლელად უპირისპირდება ეთოსს³.

შენესთვის მორალის დარღვევა, ხიფათი, რომელიც ახალ ადამიანს ემუქრება, დანაშაული არ არის, – ის „გმირობაა“. მწერალი თითქოს თავად ხდება აბსოლუტური ამორალობის განსახიერება. თავიდან, როცა გამოსასწორებელ სახლში ყოფნის შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში


ერთი გლეხის ოჯახს მიაბარეს, კეთილი, ფაქიზი ბიჭი იყო, რელიგიური გრძობებით სავსე, მაგრამ მერე, ბინიერებაში რომ ჩაეფლო და ქურდული ცხოვრების ველური სიხარული შეიქცნო, მკაცრი და ჭეშმარიტი სევდა ისწავლა. ამ სევდიანი სიხარულის ბეჭედი აზის მის შემოქმედებასაც.

ანტიკურ თეატრში ტრაგედიის გმირები მხოლოდ ლეგენდარული პიროვნებები იყვნენ, ჩვეულებრივი ადამიანები მარტო კომედიის პერსონაჟებად გამოჰყავდათ. მერე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ტრაგედიის გმირებად მხოლოდ დიდგვაროვანნი წარმოგვიდგებოდნენ. ეს მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ბალზაკმა, პირველად თავის რომანში, სხვებისგან გონებითა და ფიზიკური ძალით გამოჩინა პატიმარ ვოტრენს არ მიანიჭა ვნებების უნარი, აქამდე მხოლოდ ტრაგიკულ გმირებს რომ ჰქონდათ. შენეს ნაწარმოებებში ეს ვნებები არ არის, მაგრამ იგი ტრაგიკულ თვისებებს ანიჭებს თანამედროვე საზოგადოების ფსკერზე მოხვედრილ ადამიანებს. ეს არ ჰგავს პრუსტის მიერ აღწერილ ბურჟუაზიულ ფარსს. პირიქით, შენებზე ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ „ქურდის ჩანაწერების“ გმირი სერიოზულად აღექვათ.

რამაი ამ პათეტიკური ძალის წყარო, რომელიც შიგნიდან თითქოს რაღაც იდუმალი სხივით არის განათებული? არის თუ არა იგი მხოლოდ პერსონაჟთა უჩვეულო გარემოცვის შედეგი? ცხადია, არც ეფექტური ხერხების ნაკლებობა იგრძნობა, მომხდარის საერთო უჩვეულო ფონს რომ ქმნის, მსგავსს „სიგიჟემდე მისული სხეულის ნადევისა“, ქურდების სოლიდარობისა, თავიანთი გარდაცვლილი ამხანაგისთვის გვირგვინის გასაკეთებლად სასაფლაოდან ყვავილებს რომ იპარავენ, ან ნითელი მისაჯებისა, ახალგაზრდა კაცი სხეულის ყველა ნახვრეტში რომ ირჭობს; თეთრულები კი, საკანში გაჭიმულ თოკზე რომ შრება, ხერხია, რომელიც გვაძლევს, მძლავრად შევიგრძნობთ ამ საკანში ჩაკეტილი ორი ჭაბუკის გულისა და სხეულის სიფაქიზე.

მაგრამ პათეტიკა მხოლოდ მოსართავად როდი გამოიყენება. იგი თითქოს აერთიანებს ყველა პერსონაჟს. თითოეული პერსონაჟი ამ ჯავშნით ისეა შემოსილი, როგორც რაინდთა საჭურველით. მათ ყველას მძლავრი ფიზიკური აგებულება აქვთ და „გამსჭვალული არიან ამორალიზმის სულით“. თუმცა თვით შე-

ნეს არცა აქვს ნეგატიური მოტივაციები, ჭაბუკები, მას რომ უყვარს, ყველა დამპყრობელია. მათი პათეტიკა ფიზიკურ ენერგიას უკავშირდება, უარყოფისკენაა მიმართული, მაგრამ ყველა ეს უარყოფითი აქტი – ქურდობა, გამცემლობა, მკვლელობა, – მოცემულ შემთხვევაში, ერთიანდება სხეულში, რომელსაც უარყოფა ძალას აცლის. პათეტიკის არსსაც სწორედ ამ უარყოფის გლობალურ ენერგიასა და ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობათა შეზღუდულობას შორის წინააღმდეგობა განსაზღვრავს.



შენე პატივს სცემს ფეთქებად ფიზიკურ ენერგიას, მაგრამ საბოლოოდ, რაც მასში უყვარს – ეს მისი სისუსტეა. მართლაც, ყველაფერი ფიზიკური მასთან, თანამედროვე სამყაროში ადამიანის დამცრობის გარკვეულ მეტაფორას წარმოადგენს და, ამგვარად, მისი მთავარი მხატვრული ამოცანის შესაბამისად, ადამიანის სხეულს სჭირდება გამართლება და განდიდება.

ზნეობრივი მკითხველი, ალბათ, ოდნავ შეტყუებულიც დარჩება შენეს აღფრთოვანებით, რომლითაც იგი ნაციზმზე წერს: „მხოლოდ გერმანელებმა შეძლეს პიტლერის დროს ერთმანეთთან შეეთავსებინათ პოლიცია და დანაშაული. და პირისპირებულთა ეს გლობალური სინთეზი დატვირთული აღმოჩნდა რაღაც შემაშფოთებელი მაგნიტიზმით, რომელიც კიდევ დიდ ხანს არ მოგვცემს მოსვენებას“. შენეს აღლევებს არა ნაციზმის სწრაფვა ბატონობისკენ, არამედ გერმანული სულის ცნობილი „ტრაგიაში“, რომელიც, შემთხვევით თუ კანონზომიერად, პოლიტიკური სისტემების კრიზისის დროს ვლინდება. მე კი ვფიქრობ, ნაციზ-

მი თავისი ბუნებით ნიჰილისტური კონცეფციის რეალიზაციას ან გაუფრთხილებელ პოლიტიზაციას წარმოადგენს. იგი სხეულის გაღმერთების, უძლურებისა და დაცემის რელიგიის შედეგი გახდა, რაც ახლა უკვე აშკარაა. ისე არაფერი გვახსენებს ახალგაზრდობის ფიზიკურ რღვევას მისი გაფურჩქვნის ხანაში, როგორც ნაციზმის მარცხი. თანაც ახალგაზრდული ძალების რღვევას არანაირი საერთო არა აქვს იდეების ნგრევასთან.

ნაციზმის ესთეტიკა საკუთარ თავში უზარმაზარ საფრთხეს მალავს. ჰომოსექსუალისტი დანიელი (სარტრი: „თავისუფლების გზები“) ნაციზტების მიერ ოკუპირებული პარიზის ქუჩებში დახეტება და ბუტბუტებს: „სილამაზე ჩემი ბედისწერაა“. სარტრი დანიელს აიძულებს, მიიღოს ნაციზმი, ბოროტება და ძალადობა. ამას უკარნახებს მწერლური ალღო.

ჯერ არ შევხებოვარ შენეს მხედველობითი აღქმის თავისებურებას. პატიმრის ტანსაცმელი – ვარდისფერი და თეთრი ზოლებით, რითაც ყვავილები უცვლელად ასოცირდება კატორღელებთან. ეს იმ დროიდან მოდის, როცა შრომანი დამცირების სიმბოლო იყო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შრომანი გაამართლებენ. ზნეობრივი დაცემის გამართლება! ეს დაცემა „არანაკლებ მიმბიდველი უნდა გახდეს, ვიდრე არისტოკრატიული საზოგადოების დახვეწილი გარყვნილება“.

პატარა ლირიკული სასწაულები: მუქი ლურჯი სვინინგები ცაზე პირველფარსკვლავს ჰგავს. უცნაური სასახლე, მყიდვე არქიტექტურული ანსამბლი. ფიზიკური სრულყოფილებისა და სამყაროს ყველა ფერის დიდებულების თანაფარდობა. ალმასი. მეწამული ტანსაცმელი. სისხლი. სპერმა. ყვავილები. მოქრული ფარჩის დროშა. თვალები. ფრჩხილები. გვირგვინი. ყელსაბამი. იარაღი. ცრემლები. შემოდგომა. ქარი. ილუზიები. მეზღვაურის ცისფერი ფორმა. წვიმა. კულტა. ლიტურგია. მედიუმი. მონარქია. მაგია.

ეს ყოველივე შენეს სამყაროა. ისე არაფერი გადმოსცემს კეთილშინების ჭრილობებში ჩაყინული, სისხლის არშიაშემოვლებული ჩირქროვის სილამაზეს, როგორც გამოთქმა, ასე ხშირად რომ იყენებს შენე: „დამცირების დიდებულება“.

სახელი იმ დროს გაითქვა, როცა ჯერ კიდევ პატიმარი იყო. ციხიდან მეგობრების ძალისხმევით გამოუშვეს. ინიციაციური მისი განთავისუფლებისა, ვინც რესპუბლიკის პრეზიდენტს შეწყალების თხოვნა გაუზღვანა, ჟან კოქტო იყო, – ეს ავადმყოფური და მუდამ დაუკმაყოფილებელი ვოტრენი.

ფრანგულიდან თარგმნა

დავით კახაბერმა

- ¹ პარტენოგენეზი – სქესობრივი გამრავლების ერთ-ერთი სახე – კვერცხის განვითარება განაყოფიერების გარეშე.
- ² რელატივიზმი – შემეცნების თეორიაში მიმართულება, რომელიც ჩვენს ცოდნას მხოლოდ შეფარდებითად მიიჩნევს.
- ³ ეთოსი – ხასიათი მოვლენის ან პიროვნებისა, შინაგანი განცდები. ხშირად პათოსის მაგივრად ხმარობენ.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“ კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ქვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“ მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39 ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge